

საბა
საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე
№ 11
ნოემბერი
2006

გადანათვლა?
კათოლიკურ-მართლმადიდებლური დიალოგის მორიგი
რაუნდი ბელგრადში
სინოდის პირველი სხდომა
მზადება აღსარებისათვის
ქართველ კათოლიკეთა მონასტერი კონსტანტინოპოლში
ქრისტიანები თურქეთში

რელაქციის გვერდი

გადანათვლა?!

სატელევიზიო არხის *იმედის* 28 სექტემბრის საღამოს “ქრონიკაში” გადაცემულ სიუჟეტს, რომელიც ვინმე იტალიელი ჯუზეპეს გადანათვლას შეეხებოდა, ქართველ კათოლიკეებზე კარგი შთაბეჭდილება ნამდვილად არ მოუხდენია. სიუჟეტი ვერ დაიკვეხნიდა პატივისცემითა და ნეიტრალურობით, როგორც უნდა სჩვეოდეს საინფორმაციო გადაცემას და უნდა ვაღიაროთ, რომ არც ის არის პირველი, როდესაც არაქართველი კათოლიკეების გადანათვლას ტელევიზიით აშუქებენ, რაც ლამის ისეთ ღირშესანიშნავ ფაქტად ქცეულა, რომ გარკვეული მასშედის მხრიდან ყურადღებაც კი შეიძლება დაიმსახუროს.

გადანათვლას, რომელიც საქართველოს უახლოეს წარსულში ჯერ კიდევ უცნობი პრაქტიკა გახლდათ, საქართველოს კათოლიკეები მტკივნეულ პრობლემად აღიქვამენ, რაც აშკარად გამოიხატა კიდევ 5-8 სექტემბერს, წეროვანში გამართულ სინოდის პირველ სესიაზე; მრავალი კათოლიკე, იქნებიან ეს პატარები, ახალგაზრდები თუ მოხუცები, ხელახლა გადანათვლის ობიექტები ხდებიან. რატომ? პასუხი ერთია: კათოლიკეების ნათლობა ისევე არ არის ჭეშმარიტი, როგორც მათი რწმენა *ფილიოკვეს* დამატების გამო, რადგანაც არ ასრულებენ მირონცხებას, რადგანაც ნათესავეს შორის ქორწინდებიან; ამგვარი პასუხები და ამგვარი პრაქტიკა დიდ უვიცობაზე და უპატივცემულობაზე მეტყველებს იმ ეკლესიის მიმართ, რომელიც არის “*მოციქულ ანდრეას ეკლესია -და*”. სწორედ ამ სიტყვებით მიმართა კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ საქართველოში ვიზიტად მყოფ პაპს, იოანე პავლე II-ს (1999წ. 9-10 ნოემბერი) და მის წარმომადგენლებს; თუკი კათოლიკეების ნათლობა ნამდვილად არანაირ მნიშვნელობას არ ატარებს, მაშ, რა აზრი ჰქონდა

საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლობას იოანე პავლე II-ის დაკრძალვაზე და ბენედიქტე XVI-ის აღსაყდრებაზე?

განუყოფელი ეკლესიის ტრადიცია მუდამჯამს აუწყებდა “ერთ ნათლობას”, დაფუძნებულს “ერთი ღმრთის” რწმენაზე, ერთი უფლის იესო ქრისტესი, რომელიც მოკვდა და აღდგა ყოველი ჩვენგანის სახსნელად დადგენილ ჟამს (*შდრ. ეფ.4*); ნათლისღების განმეორება ამ საძირკვლის წინააღმდეგ წასვლაა, ანუ ხსნის საძირკველად ეკლესიის გადაქცევა; ამიტომაც, არცერთ ეკლესიას არ ხელეწიფება თავისი სურვილისამებრ განკარგოს ნათლისღების მადლი და ასე ზერელედ და თვითნებურად დაადგინოს, თუ ვინ გადანათლოს და ვინ არა; ეკლესიის ტრადიცია, მეტწილად დასავლეთში, ყოველთვის ნათლავდა მას, ვინც მოუნათლავი იყო და ქრისტიანობა სურდა, და არა ერეტიკოსებს, სქიზმატიკოსებს.

როგორ მოვიქცეთ? პირველ რიგში, უნდა შევიგნოთ მიღებული წყალობა, ყოველთვის გავაცნობიეროთ და სიკვდილამდე ვუერთგულოთ; უნდა ვიცოდეთ, რომ ვერაფერი გააუქმებს და შეცვლის პირველ და ერთადერთ ნათლობას; კათოლიკე ეკლესიაში (*და ყველა სამოციქულო ეკლესიაში*) გაცემული ნათლისღება, ჭეშმარიტი ნათლისღებაა, რადგანაც კათოლიკე და სამოციქულო რწმენის გამოსატყულებაა, რის გამოც არასოდეს, არანაირი მიზეზით არ უნდა დავთანხმდეთ ხელახლა გადანათვლას; მეორე ნათლობა, თუკი პირველი ჭეშმარიტი იყო, თავისთავად ცრუ ნათლობაა, ფარსია, მკრეხელობა და გმობაა ღმრთის წყალობისა; იგი მატარებელია არა წყალობისა, არამედ სასჯელისა, როგორც გამცემისთვის, ასევე მიმღებისთვის.

გაცილებით მეტი საუბარია საჭირო ამ საიდუმლოზე, რომლის მეშვეობით ადამიანი ქრისტიანობას ეზიარება, ეკლესიის წევრი ხდება, საჭიროა უფრო ღრმად მომზადება ნათლისღებაში, საღმრთო წერილის, კატეხიზაციების, ლიტურგიის, რიტუალების, ნიშნების განმარტებით, მოვალეობების, აღმოსავლელ და დასავლელ მამათა ნააზრვის შესწავლით; საჭიროა უფრო მეტად ვიხენდეთ ზრუნვას ნათლობის, როგორც საზეიმო მომენტის აღნიშვნაზე, არა მხოლოდ რომელიმე ოჯახის თუ რომელიმე პიროვნების, არამედ როგორც მთელი საკრებულოსთვის, ზეიმი, რომელიც აღინიშნება არა ნებისმიერ დროს, არამედ ლიტურგიული წლის უმთავრეს დღესასწაულზე – უფლის აღდგომას, საპასეჟო ცისკარზე ან კვირადღეს, უფლის პასეჟის საკვირაო მოსაგონარზე; სწორედ ამ მიზნით არსებობს კათაკმეველობის და დიდმარხვის მოსამზადებელი პერიოდი: აუცილებელია ნათლისღების გარჩევა ყველა იმ ტრადიციის, პრაქტიკისა და ცრუ შეხედულებებისაგან, რაც მის ირგვლივ დაგროვდა და იმდენად ახვევს ბურუსში მის ჭეშმარიტ არსს, რომ ამ კულტურის ასპექტამდე, ინდივიდუალისტურ მოთხოვნილებამდე დაჰყავს, რის თანახმადაც თვით მკვდარი და აღმდგარი ქრისტეს რწმენა უმნიშვნელოდ ჩანს ნათლიასთან, სუფრებთან, მიცვალებულის ხსენებასთან, შიშებთან თუ ცრურწმენებთან შედარებით. აი, რატომ გახლავთ ყოველად აუცილებელი მომზადება, კატეხიზაციები, გაბედული არჩევანი; თვით იმ კათოლიკეებს, რომლებიც ჩვეულებრივ დადიან ეკლესიაში, ვერ გაუგიათ ნათლობის მომზადების არსი და სიღამაზე, მათთვის ყველაზე

მნიშვნელოვნად ნათლობის შესრულებაა, ყოველგვარი მომზადების გარეშე. “ასე ხომ არ დაგკარგავდით მორწმუნეებს” – სწუსან და ფიქრობენ; და მერე ეს მართალია? ხომ არ ფიქრობთ, რომ მათი დაკარგვის მიზეზი ის არის, რომ ჩვენი რწმენის არსი, ნათლობის საიდუმლოს მნიშვნელობა, უფლის პასეჟის ცენტრალურობა დაიკარგა ჩვენს ოჯახებში, სადაც მრავალ შემთხვევაში ან შემოინახეს ან არა სიტყვა? ცხადია, ეს პრობლემა ვერ გადაიჭრება იმ ხერხით, რასაც იყენებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ანუ მომზადების გარეშე ნათლისღების გაცემით, ნებისმიერ დროს, ან ხელახლა გადანათვლით.

ამ პრაქტიკით ისინი ცდილობენ ქართული ნიადაგიდან აღმოფხვრან კათოლიკობის ფესვები, რადგანაც ზოგიერთ განსახდევრულ სიტუაციაში სხვა გამოსავალი არ არსებობს თუ არა გადანათვლა, ასე მაგალითად, ნათლიად ან მეჯვარედ ყოფნისას, მართლმადიდებელზე დაქორწინებისას, საკუთარი მიცვალებულისთვის ლოცვის წარმოთქმისას ან სამუშაოს მისაღწევად, ანდა იმის შიშით, რომ სკოლაში, სამსახურში, მეგობრებთან განსხვავებულად არ გამოჩნდეს ან კიდევ, საკუთარ მეუღლესთან ან ოჯახის წევრთან საიქიოში ერთად არ მოხვდეს, ან სულაც ზეწოლის გამო; ამის შემდეგ კიდევ ამბობენ და სჯერათ, რომ საქართველო ქრისტიანული ქვეყანაა და უმცირესობას აქ პატივს მიაგებენ! კათოლიკე ეკლესიას კი ადანაშაულებენ პროზელიტიზმში, მაშინ როცა ამგვარ გადანათვლებზე და მით უფრო ტელევიზიით რეკლამირებულ ფაქტებზე მეტი კონკრეტული და ნათელი მაგალითი პროზელიტიზმისა რაღა გნებავთ?

აქვე გაკვრით შევხები ქვეყნის ტერიტორიული ერთობის პრობლემას, ასე ძვირფასი რომ გამხდარა საქართველოს საპატრიარქოსთვის; ძნელი დასაჯერებელია, გჯეროდეს, რომ ერთობა მიიღწევა ამ სადავო ადგილზე მცხოვრები უმცირესობის პატივისცემით, თუკი დღესდღეობით მცდელობა არის საქართველოს სახიდან წაშაღონ ისეთი მრავლისმეტყველი ისტორია, როგორც აქვს კათოლიკობას, გინდათ გულგრილობით, გინდაც ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილის გულის მოსაგებად?

ნუთუ შეიძლება, რომ რასისტული ბუნების უსამართლობა, რასაც ამჟამად განიცდიან ქართველები (მართლმადიდებლებიც და კათოლიკეებიც) რუსეთში, ერთგვარ სტიმულად არ იქცეს საკუთარ სახლში იგივე არ ჩაიდინო მათ მიმართ, ვინც არამართლმადიდებელია?

მანამდე კი, სექტემბრის ბოლოს, ღამის ეთერში, კათოლიკე და მართლმადიდებელი, საქართველოს ტელევიზიის პირველი არხზე აპირებდნენ მართლმადიდებელ და კათოლიკე ეკლესიებს შორის ერთიანობაზე საუბრის წამოწყებას; გულითად მადლობას მოვასხენებ მათ ამისათვის და იმედს ვიტოვებთ, რომ სულ მალე შესაძლებელი გახდება გვერდიგვერდ დაგხსდეთ მაგიდასთან ამ ორი და-ეკლესიის წარმომადგენლები, რათა ხელი მოეწეროს დოკუმენტს ნათლობის ორმხრივი აღიარების შესახებ.

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში

ოქტომბრის მოვლენათა ქრონიკა

გასული თვე ბევრი საყურადღებო მოვლენით აღინიშნა, მაგრამ ჩვენ სამი მათგანი გვსურს გამოვეყნოთ, რომელიც უთუოდ დააინტერესებს “საბას” მკითხველებს: კათოლიკურ-მართლმადიდებლური დიალოგის მორიგი რაუნდი ბელგრადში; პონტიფექსისადმი მიწერილი საპასუხო ღია წერილი, რომელსაც 38 მუსლიმი თეოლოგი და საზოგადო მოღვაწე აწერს ხელს და იტალიის ეკლესიის IV ნაციონალური კონგრესი, რომელსაც წმიდა მამამ სიტყვით მიმართა.

კათოლიკურ-მართლმადიდებლური დიალოგი 20 სექტემბერს დაიწყო და 28 სექტემბერს დამთავრდა. როგორც ჩვენს მკითხველს ახსოვს, სექტემბერის თვის მოვლენათა მიმოხილვა მთლიანად ბენედიქტე XVI-ის რეგენსბურგის უნივერსიტეტში გამოსვლასა და ამ სიტყვის გარშემო მას მედიის მიერ აგორებულ სკანდალს მიეძღვნა. ამიტომაც, ბელგრადის შეხვედრას მაშინ ჩვენ დრო ვერ დავუთმეთ.

კათოლიკე ეკლესიის მხრიდან დელეგაციას კარდინალი ვალტერ კასპერი ხელმძღვანელობდა, რომელიც კურიაში ეკლესიათა შორის დიალოგის განყოფილებას უდგას სათავეში, ხოლო მართლმადიდებლური მხრიდან – პერგამოსის მიტროპოლიტი იოანე ზიზიულასი (კონსტანტინოპოლის საპატრიარქო), რომელიც დღეს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მართლმადიდებელ ღმრთისმეტყველად ითვლება.

ერთ-ერთი ძირითადი თემა, რომელზეც დიალოგის მონაწილეებს უნდა ემსჯელათ, პაპის პრიმატი იყო. როგორც მიტროპოლიტმა იოანემ შეხვედრის შემდეგ აღნიშნა, “ეკუმენური დიალოგის განვითარება ამ საკითხში თითოეული მონაწილე მხარის კეთილ ნებაზე, ქრისტიანულ მამაცობასა და გულწრფელობაზეა დამოკიდებული... აქ საჭიროა ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვა და პრიმატისადმი დამოკიდებულების შეცვლა, სხვაგვარად დიალოგის გაგრძელება ძალიან რთული იქნება”.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს ერთი უსიამოვნო კოლიზია, რომელიც ამ შეხვედრისას კონსტანტინოპოლისა და მოსკოვის საპატრიარქოებს შორის წარმოიშვა. ვენისა და ავსტრიის ეპისკოპოსმა ილარიონმა (ალფევევი) მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის არსებული რიგი (“ტაქსისი”) ეჭვის ქვეშ დააყენა, რამაც კონსტანტინოპოლის პატრიარქატის მხრიდან მძაფრი პროტესტი გამოიწვია. საზოგადოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი დაპირისპირებები მოსკოვსა და კონსტანტინოპოლს შორის არცთუ

იშვიათია. მაგალითად, რამდენიმე წლის წინ რუსეთის პატრიარქი 6 თვის განმავლობაში არ მოიხსენიებდა მსოფლიო პატრიარქს ტრადიციულ კვერეკსებში.

დიალოგის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ შემდეგი შეხვედრა 2007 წელს იტალიაში გაიმართება.

12 ოქტომბერს ინგლისურენოვან “ისლამიკა მეგეზინში” 38 მუსლიმი თეოლოგისა და საზოგადო მოღვაწის ბენედიქტე XVI-სადმი მიწერილი ღია წერილი დაიბეჭდა. წერილი განმსჭვალულია პონტიფექსისადმი ღრმა მოწიწებით და დიალოგისადმი იმგვარი მზაობით, რისკენაც წმიდა მამა თავის რეგენსბურგის ლექციაში მოუწოდებდა ისლამურ მხარეს.

წერილში დაგმობილია ძალადობის ყველა შემთხვევა, რაც ბენედიქტე XVI-ის გამოსვლას მოჰყვა. ამავე დროს, ტექსტში წარმოდგენილია ისლამური პოზიცია იმ საკვანძო საკითხებზე, რომელიც პონტიფექსმა წამოჭრა. წერილი დახვეწილი თეოლოგიური ენითაა შესრულებული. ავტორები გვაწვდიან ყურანისა და ისლამური მსოფლადქმის საკუთარ ინტერპრეტაციას. ამავე დროს, ისინი მიუთითებენ იმ უზუსტობებზე, რაც მათი აზრით, უწმინდესმა მამამ დაუშვა ისლამური თეოლოგიის საკითხებზე მსჯელობისას. რა თქმა უნდა, შეიძლება ბევრ რამეში წერილების ავტორებს არ დავეთანხმოთ, მაგრამ მთავარი მაინც სხვა რამაა – ბენედიქტე XVI-ის გამოსვლამ მიზანს მიაღწია. მას მედიის მიერ გამოწვეული ზედაპირული და წარმავალი რეაქციის შემდეგ გაისმა რაციონალური და დახვეწილი პასუხი.

წერილზე ხელის მომწერთა ნუსხა საკმაოდ შთამბეჭდავი და წარმომადგენლობითია – ესენი არიან ისლამური თეოლოგიის ფაკულტეტთა ხელმძღვანელები, სულიერი ლიდერები (მათ შორის შიიტებიც) სხვადასხვა ქვეყნებიდან და მუსლიმური არისტოკრატის წარმომადგენლები.

დაბოლოს, ჩვენი მიმოხილვის დასასრულს, რამდენიმე სიტყვით უნდა შევეხხოთ ვერონაში გამართულ იტალიის ეკლესიის IV ნაციონალურ კონგრესს. პირველი ამგვარი კონგრესი პავლე VI-ის ინიციატივით 1976 წელს ჩატარდა, ხოლო დანარჩენი ორი – უკვე იოანე პავლე II-ის პონტიფიკატის პერიოდში, შესაბამისად, 1985 და 1995 წწ.-ებში.

ბენედიქტე XVI კონგრესს 19 ოქტომბერს ეწვია და შეკრებილთ ვრცელი სიტყვით მიმართა. მოგვიანებით კი მესა ჩაატარა, რომელსაც, დაახლოებით, 100 000 ადამიანი დაესწრო.

წმიდა მამა თავის სიტყვაში რამდენიმე მნიშვნელოვან თემას შეეხო – კერძოდ, ქრისტიანული უწყების საზრისს თანამედროვე მსოფლიოში, იტალიის ეკლესიის როლს ქვეყნის, ევროპისა და მსოფლიოს

ევენაგელიზაციის საქმეში, პიროვნებასა და მის სულიერ სამყაროს, აღზრდის მნიშვნელობას, კათოლიკეთა სამოქალაქო და პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, ქრისტესთან ერთიანობის მნიშვნელობას.

სამწუხაროდ, ჩვენი სტატიის ფარგლებში შეუძლებელია პონტიფიკსის სიტყვის სრულფასოვანი მიმოხილვა. ამიტომაც, მოვიყვანო მხოლოდ მცირე ფრაგმენტს ამ გამოსვლიდან, რითაც დავასრულებთ ოქტომბრის მოვლენათა ქრონიკას:

“ქრისტეს აღდგომა ისტორიული ფაქტია, რომლის მოწმენიც (და არავითარ შემთხვევაში – შემოქმედნი) მოციქულები იყვნენ. აღდგომა არაა მიწიერ ცხოვრებაში უბრალო დარბუნება. პირიქით – ეს ყველაზე დიადი და აქამდე არსმენილი “მუტაციაა”, გადამწვევტი “ნახტომია” სიცოცხლის სრულიად ახალი განხორციელებისაკენ; აბსოლუტურად ახალ წესრიგში შებიჯებაა, რომელიც ჯერ იესო ნაზარეველს, ხოლო შემდეგ – ჩვენ – მთელ კაცობრიობას, მთელ ისტორიასა და სრულიად სამყაროს ეხება. ამიტომაც, ქრისტეს აღდგომა ქრისტიანული ქადაგებისა და უწყების გულისგულია დასაბამიდან დროთა აღსასრულამდე. რაღა თქმა უნდა, აქ საუბარი საიდუმლოზეა – ჩვენი ხსნის საიდუმლოზე, რომელიც განხორციელებული სიტყვის აღდგომაში თავის სრულქმნას ხედავს და, იმავდროულად, ჩვენს იმედს საფუძველს უყრის. მაგრამ ამ საიდუმლოს გასაღები სიყვარულია – ამ საიდუმლოს ახსნა მხოლოდ სიყვარულის ლოგიკითაა შესაძლებელი: იესო აღდგა იმიტომ, რომ მისი არსება სრულქმნილია, ხოლო ღმერთთან, რომელიც სიყვარულია, უღრმესი კავშირი სიკვდილზე ძლიერია”.

იაკობ ღუმბაძე

სინოდი

ფორმაციის პრობლემა საქართველოში

(წაკითხული სინოდის პირველ სესიაზე)

სინოდის „ლინეამენტა“ გვიხსნის რეფლექსიის ექვს მიმართულებას საქართველოში კათოლიკეების ფორმაციის პრობლემაზე. ვიმედოვნებ, რომ ყველას წაკითხული გაქვთ ეს დოკუმენტი.

ჩვენი მუშაობა, ჩვენი მსჯელობები უნდა დაგვირგვინდეს ეპისკოპოსისადმი წარდგენილი კონკრეტული წინადადებებით, ყველა ჩვენგანის მხრიდან. წინადადებებით შესვლა არ ნიშნავს, რომ ჩვენ რაიმეს

მიღებას მოველით მისგან, არამედ, რომ თავად ვკისრულობთ ვალდებულებას ვიმუშაოთ ჩვენი ეკლესიისათვის.

არ ვაპირებ ახალი გზების შემოთავაზებას, არამედ მსურს შეგახსენოთ თემის მნიშვნელობა და „ლინეამენტაში“ მოცემული რეფლექსიების მიმართულებათა სინთეზი.

უვიცობა ბოროტების მთავარი წყაროა. კომუნიზმის სამოცდაათი და ქაოსის ათი წლის შემდეგ, ჩვენმა ქვეყანამ მიაღწია რელიგიური კულტურის, თეოლოგიური ცოდნისა და მსჯელობის უნარის უმდაბლეს დონეს. ამის უარყოფა შეუძლებელია და ეს ფაქტი ნათელია ჩემნაირი დასავლეთელისათვის. ამის ერთადერთ დასტურად შემოგთავაზებთ სატელევიზიო დებატებს, ეკრანებიდან რომ ვისმენთ, მღვდელთა ქადაგებს, სერიოზული რელიგიური ლიტერატურის არქონას.

ეს მოვლენა მსოფლიო მასშტაბისაა, როგორც გვიჩვენა «და ვინჩის კოდმა», მაგრამ კიდევ უფრო ფართოა ის საქართველოში, უახლესი ისტორიის გამო. არადა რელიგიისადმი ინტერესი არის, მაგრამ აკლია წყურვილი და ძალისხმევა სერიოზული ფორმაციისათვის.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა გავითვითცნობიეროთ ეს მდგომარეობა: ჩვენ არ ვიცნობთ ჩვენს რწმენას, ჩვენს სარწმუნოებას. არადა თავი მოგვაქვს ქრისტიანებად და კათოლიკეებადაც კი.

რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ ვართ ფანატიკოსნი. ფანატიზმი ეს არის ერთი პარტიის, მოსაზრების, სხვასთან დიალოგზე დახურული რელიგიის დაცვა. ვერ იარსებებს დიალოგი მისთვის, ვისაც არ გააჩნია საკუთარი იდენტურობა.

როდესაც ვეკითხები ჩვენი სამრევლოს მრავალ წევრს: რატომ ხარ კათოლიკე და არა მართლმადიდებელი, ან როცა ვეკითხები, თუ რას ნიშნავს იყო ქრისტიანი, პასუხები ხშირად ზედაპირულია. ეს ნიშნავს, რომ იყო ქრისტიანი, არის მხოლოდ იდენტურობა და არა ძალისხმევა. არადა ქრისტეს არ სურდა ფანატიკოსების ჯგუფი დამცველად, იგი ასწავლიდა, აყალიბებდა თავის მოწაფეებს, აუწყებდა სახარებას დღე და ღამ რათა გარდაექმნა იმათი ცხოვრება, ვინც ირწმუნებდა მას: იცით რა გასწავლათ მან? რას გვთავაზობს ეკლესია? რა პასუხი უნდა გასცე მას, ვისაც სურს ისწავლოს ღოცვა, იმოქმედოს ზნეობით, ეკამათოს მართლმადიდებელ ძმებს და თავად სექტებსაც.

მრწამს, მაგრამ რა მრწამს? ვინა მრწამს? გრწამდეს, ნიშნავს შეიცნობდე, მიჰყვებოდე, უსმენდე.

ამ უვიცობას კატასტროფული შედეგები აქვს:

– **სექტები** მრავლდება საქართველოში, ხოლო ევანგელისტების, ბაპტისტების, იეჰოვას მოწმეთა რაოდენობა მატულობს. განსაკუთრებით ტრადიციულად კათოლიკურ რეგიონებში. რატომ არ შეუძლია ხალხს დიცვას საკუთარი რწმენა?

– მეორე შედეგი: ვშორდებით **კულტურულ სამყაროს**. მაღალი დონის მრავალი პიროვნება თავს აცხადებს ფორმალურად ერთ-ერთი რელიგიის მიმდევრად, მაგრამ სინამდვილეში ათეისტები არიან, და ეს იმიტომ, რომ ჰგონიათ რელიგია უბრალო, უსწავლელი ხალხისთვისაა.

– ამ უვიცობის კიდევ ერთი შედეგი: **ხალხი იოლად იცვლის რელიგიას** ან ტოვებს თავის რელიგიას, იმიტომ, რომ აღარ ესმის მიზეზი, აუცილებლობა მნიშვნელობას მოკლებული რიტუალების აღსრულებისა. და რად არ შევცვალოთ რიტუალები?

– კიდევ ერთი შედეგი: **ქრისტიანებს შორის დიალოგის არქონა** იბადება ამ უვიცობიდან. როგორ შეგვიძლია ისაუბრო იმაზე, რასაც არ იცნობ? როგორ ვცე პატივი სხვის მოსაზრებას, თუკი არ გამაჩნია არგუმენტი საკუთარის დასაცავად?

– ისევ და ისევ უვიცობაა **რელიგიური ფანატიზმის** საფუძველი. იმის გამო რომ არ ვიცი თუ რას წარმოადგენს ჩემი რწმენა, თუ რას ამბობს იგი, მსურს გავანადგურო ის ვინც არაა ჩემი მსგავსი, მხოლოდ იმიტომ რომ იგი არ ეკუთვნის ჩემს ჯგუფს. ეს ტოლერანტობას მოკლებული ფანატიზმი, რომელსაც სხვაში ვამჩნევ, სინამდვილეში ჩემშიცაა.

– დაბოლოს ეს უვიცობა რელიგიას აქცევს **მაგიად, ცრურწმენად, ჯადოქრობად**. ის კი არა მრწამს, რასაც რწმენა მეუბნება, არამედ გარკვეული სავალდებულო რიტუალები. მეშინია რომ რიტუალების შეუსრულებლობა ბოროტებას მომაწვეს, მსურს გავლენა მოვახდინო ღმრთაებაზე, იმისათვის რომ მომცეს ის რაც მე მინდა, და თუ ეს ყველაფერი შედეგს არ მომიტანს, ვკარგავ რწმენას მაშინებს ოკულტიზმის წონა ამ ქვეყანაში. კარტის გაშლა, ყავაში ჩახედვა, სპირიტიზმი, მაგიური რიტუალები, ყველაფერ ამას ჩვენი ქრისტიანებიც მისდევენ, როგორც რელიგიის ალტერნატივას.

ამრიგად, რაზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ? ჩავიხედოთ ლინეამენტაში, და მოკლედ ჩამოვაყალიბოთ:

1. როგორ განვახორციელოთ **ჭეშმარიტად ქართული კათოლიციზმი**? რა ასპექტებს უნდა გავუსვათ ხაზი? რაში მდგომარეობს ჩვენი ორიგინალურობა?

2. როგორ ვაქციოთ **საიდუმლოებებისათვის მომზადება** ინსტრუმენტად, რაც ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვება? რა ურთიერთობაა სინამდვილეში კატექისტურ ცენტრსა და კატექისტებს შორის? როგორ შევუწყოთ ხელი უკეთეს ურთიერთობას მათთან, ვისთანაცაა საჭირო ლაპარაკი დოკუმენტებისა და რჩევების მისაღებად?

რაც შეეხება ჯვრისწერისათვის მომზადებას, ვის უნდა მივმართოთ დასახმარებლად? როგორ უზრუნველყოთ უკეთესი კოორდინაცია?

3. **მოზრდილთა ფორმაციის** რომელი ფორმა მოქმედებს უკვე ეპარქიის დონეზე, რისი შემოღება შეიძლება იმისათვის რომ ყოველ სამრევლოში იყოს გამოყოფილი ფორმაციისათვის დრო, ყველასათვის ღია, ჩვენი თხოვნის პასუხად.

4. რაც შეეხება **გამოცემებს**, რაში მდგომარეობს „საბას“ როლი ჩვენი ფორმაციის საქმეში? რის ხილვას ვისურვებდით? რომელი ტექსტების გამოქვეყნებაა აუცილებელი ქრისტიანებისათვის? ვის შეუძლია ამ საქმეში ჩართვა? რომელი ენებია აუცილებელი?

5. რას ვაკეთებთ ჩვენ **ქმედითი სიყვარულისა და საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძალისხმევის** დონეზე? ქმედითი სიყვარული არაა პასიური რამ, იგი აქტიურია: კათოლიკეები ძალიან ხშირად უყურებენ მას, როგორც დასაუღეთიდან ჩამოსულ დახმარებას და არა როგორც ადგილობრივი საკრებულოს ძალისხმევასა და საქმეს. როგორ უნდა მოვიქცეთ იმისათვის, რომ სახელმწიფომ იკისრო საკუთარი პასუხისმგებლობა ყველაზე დაუცველთა მიმართ?

6. **მოწოდებებისათვის ზრუნვა** არის ეკლესიის სასიცოცხლო განზომილება. რა კეთდება ჩვენს სამრევლოებში იმისათვის რომ ახალგაზრდები და ზრდასრულნი ემსახურონ საკრებულოს? ხომ არ დადგა უკვე რომ დავიწყოთ დაოჯახებულთა ფორმაცია აკოლიტატის ან დიაკონატის მისაღებად? მზადა ვართ შევიწყნაროთ ის ფაქტი, რომ მღვდლების გვერდით იყვნენ სხვა პირებიც განსხვავებული მსახურებით?

7. **ინსტიტუტ „საბას“** როლი მდგომარეობს იმაში, რომ შექმნას კულტურის ცენტრი. ეს ცენტრი არ არსებობს თავისი თავისათვის, არამედ იმისათვის, რომ მისით ისარგებლონ. ის მონაწილეობს კათეხისტების ფორმირებაში, სხვადასხვა შეხვედრებში და ცდილობს მოიკრიბოს რელიგიის მასწავლებლები, მაგრამ ხომ არ იქნებოდა კარგი მოგვეწვია პროფესორთა ჯგუფები ჩვენს სამრევლოებში შაბათ-კვირა კონფერენციების ჩასატარებლად? ინიციატივა უნდა წამოვიდეს **სამრევლოებიდან.**

მამა პიერ დიუმულენი

კათოლიკე ეკლესია საქართველოში

წარმატებებს გისურვებთ, დაო ტერეზა!

ძვირფასო, დაო ტერეზა,

გვაპატიეთ ჩვენი ცრემლებისთვის. თქვენი გადაყვანის შესახებ ნაუწყებმა ამბავმა ისე იმოქმედა ჩვენზე, რომ დაგვავიწყა მარტივი ჭეშმარიტება: თქვენ ჩვენ კი, არა ღმერთს ეკუთვნით. დიდხანს გვემახსოვრება ჩვენი ერთად გატარებული დრო – იქნება ეს კატეხეზა, მოგზაურობები, კამპოსკოლა ორპირში თუ გუნდის მეცადინეობები.

თქვენი უსაზღვროდ მადლიერი ვართ და ყოველთვის დიდი სიყვარულით გაგიხსენებთ. დარწმუნებულები ვართ, თქვენი ღმრთისადმი უმწიკვლო მსახურებით ტურცხელების გულებსაც მალე მოიგებთ და მათაც ბევრ სიხარულს მიანიჭებთ.

წმ. წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესიის ახალგაზრდების ჯგუფი

*** * ***

სალეზიელთა ორდენის და ტერეზა სოლნიჩეკი 1992 წელს მსახურებისთვის ნუნციატურაში იქნა გამწესებული, სადაც 8 წელიწადი იმუშავა. წმ. წმ. პეტრე-პავლეს ეკლესიაში იგი 2000 წელს მოავლინეს.

„ძირითადად ახალგაზრდებთან ვმუშაობდი, – იგონებს და ტერეზა, – ერთმანეთს სწრაფად გავუგეთ. მე მათი არა მარტო კატეხისტი, არამედ უფროსი მეგობარიც ვიყავი. საქართველოდან საუკეთესო მოგონებები და სურვილები მიმყვება. მჯერა, ჩვენი ბავშვები ეკლესიის ბრწყინვალე მომავალია“.

წარმატებებს ვისურვებთ დაო ტერეზა..

ნადია ჩიტაძე

მათ უფრო მეტი მართებთ

მოხარულნი ვართ, რომ ჩვენი საკრებულოებიდან – ივლიტიდან და ახალციხიდან სინოდის შემადგენლობაში მართლა ღირსეული კანდიდატები აირჩა: ლელა მამუკაშვილი და ლუსინე პეტროსიანი.

სინოდი მარტო მათი კი არა მთელი საკრებულოს, თითოეული ჩვენთაგანისაა. მათ სინოდამდე უნდა მიიტანონ ჩვენი სატკივარი, სიხარული და პრობლემები, რაც ასე აღელვებს მრევლს. სულიერი მოთხოვნილებებიდან დაწყებული, მატერიალური პრობლემებით დამთავრებული: მღვდლების სიმცირე, მათი ხშირი ცვლა, მრევლის მოზიდვა და ახალგაზრდების სულიერ ცხოვრებაში ჩაბმა. ჩვენს მრევლს უფრო მეტად აღელვებს რწმენასთან და სულიერებასთან დაკავშირებული საკითხები. ჩვენი საკრებულოების მთავარი სატკივარი კი ივლიტის ეკლესიის დაბრუნება და ახალციხეში ეკლესიის აშენებაა.

გვჯერა, ჩვენს მიერ არჩეული სინოდის წევრები პასუხისმგებლობით მოეკიდებიან მათზე დაკისრებულ მოვალეობას, გაბედულად გამოთქვამენ თავიანთ აზრებს, რაც მრევლის საერთო აზრიცაა.

ჩვენ კი ვილოცვებთ სინოდის ნაყოფიერად წარმართვისთვის, სინოდის თითოეული წევრისათვის.

უფალი იყოს ჩვენი და თქვენი მფარველი.

ელზა ზუბაშვილი, ახალციხე

გვიყვარხართ, მერი ექიმო!

1998 წელს, მამა იეჟის თაოსნობით, ვალეში გაიხსნა „საქართველოს კარიტასის“ დაქვემდებარებაში მყოფი სამედიცინო პუნქტი, სადაც პაციენტებს უანგაროდ უწევენ სამსახურს ექიმი მერი მოსეშვილი-ხაბეიშვილისა და მედლები: გულო ნიკადიშოვა და მარო სებისკვერაძე. მერი ექიმი, ასე მიმართავენ მას თავისი პაციენტები, ძალიან გულისხმიერი და კეთილი პიროვნებაა. იგი დაუღალავად და უანგაროდ ემსახურება ყველა ავადმყოფს და კეთილი და გულისხმიერი მოპყრობით ყველას ძალიან შეაყვარა თავი. მერი ექიმი, პირველ რიგში, უნდა ემსახურებოდეს მოხუცებსა და ძალიან ღარიბებს, მაგრამ ის არც სხვებს ეუბნება უარს მომსახურებაზე, წამლებსაც შეძლებისდაგვარად არიგებს, რის გამოც ყველა კმაყოფილი და მადლიერია.

ცხრა თვის მანძილზე იგი უანგაროდ ემსახურებოდა უდე-არალის საკრებულოებს, სადაც დიდი სიყვარული და ნდობა დაიმსახურა. იქაური პაციენტებიც მადლობას უხდიან მერი ექიმს.

ვალეს საკრებულოს სახელით, მინდა მადლობა ვუთხრა მერი ექიმს, მედლებს, ქალბატონებს: გულოს და მაროს, „საქართველოს კარიტასს“, მამა პავლეს, მამა არტურს და მამა იეჟის, რომლებიც დიდ დახმარებას უწევენ ჩვენს ექიმს, რათა მან, თავის მხრივ, უზრუნველყოს პაციენტების შესაბამისი მომსახურება.

იზოლდა აღლემაშვილი-გიქოშვილისა
ვალე

წმიდა კამილოს ასულთა ნეტარი დამაარსებელი

კამილიელთა ორდენის არსებობის მანძილზე თავი იჩინა იმის აუცილებლობამ, რომ წმ. კამილოს ქარიზმა განხორციელებულიყო ქალებშიც, რომლებიც პროფესიულ ოსტატობას შეუხამებდნენ განსაკუთრებულ ქალურ გულისხმიერებას და, ამგვარად, ნამდვილ დედობრივ გრძნობას უძღვნიდნენ ტანჯულებს.

ნეტარი მამა ლუიჯი ტეცა, როგორც წმიდა კამილოს ნამდვილი სულიერი შვილი, ითავისებს და ახორციელებს ამ ქარიზმულ აუცილებლობას და ნეტარ დედა ჯუზეპინა ვანინასთან ერთად, ქმნის ქალთა სამყაროში კამილიელთა ქარიზმას.

დღეს ჩვენი კონგრეგაციის მკერდში მრავალი ერის ადამიანთა გული ძვერს. ჩვენ ვცდილობთ ვუპასუხოთ თანამედროვე ადამიანის სიღატაკეთა ახალ-ახალ გამოწვევებს. ევროპაში ჩვენი კონგრეგაციის მოქმედების არეალია: იტალია, გერმანია, პოლონეთი, პორტუგალია, ესპანეთი, უნგრეთი, საქართველო; სამხრეთ ამერიკაში – არგენტინა, ბრაზილია, კოლუმბია, პერუ, ჩილე და მექსიკა; აზიაში – ინდოეთი და ფილიპინები; აფრიკის კონტინენტზე კი – ბურკინა ფასო, ბენინი და სპილოს ძეგლის ნაპირი.

გვსურს ყველას გასაგონად ხმამაღლა ვთქვათ, რომ შესაძლებელია საკუთარი თავის სრული რეალიზება მამა ღმრთისადმი სასოებით სრული მიძღვნითა და ჩვენი ცხოვრების სიყვარულად მისი არჩევით.

საქართველოში მოღვაწე წმ. კამილოს კონგრეგაციის დებს

თუ ღმერთმა ქნა და ფეხზე დავდექი, ჩემი სურვილია თქვენს გვერდით დავდგე და თქვენსავით უანგაროდ და სიყვარულით ვემსახურო ადამიანებს.

მთელი გულით გიხდით მადლობას ძვირფასო კამილიელებო. მადლობა ღმერთს სიცოცხლე რომ მაჩუქა და მადლობა ჩემსკენ რომ მიგიითითათ.

თქვენ ღირსეულად ატარებთ წმიდა კამილო დე ლელისის სახელს.

ბელა ბაჟანოვა

პირველი რეკოლექცია წეროვანში თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძრის მორწმუნეები სწავლობენ ღმრთის სიტყვას.

ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს ლოცვა-კურთხევითა და მამა პიერ დიუმულენის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით სექტემბრის ბოლო შაბათ-კვირას წეროვანის სულიერებისა და კულტურის ცენტრში ჩატარდა თბილისის საკათედრო ტაძრის მორწმუნეთა ერთი ჯგუფის რეკოლექცია.

რეკოლექცია შემდეგი ფორმატით ჩატარდა: ექვსი კონფერენცია, მიძღვნილი იყო მარკოზის სახარების ცალკეული თავებისადმი, კონფერენციების შუალედი დრო ფიქრისა და მსჯელობებისადმი იყო განკუთვნილი და მკაცრ მდუმარებაში მიმდინარეობდა, დევიზიც ასეთი იყო: **ერთად მდუმარება.**

კონფერენციების, მსჯელობებისა და მდუმარებაში ფიქრის გარდა, იყო ჟამნის ლოცვები, ევქარისტის თაყვანისცემა, ასევე, მეუფე ჯუზეპესა და მამა პიერის მიერ აღვლენილი წმიდა წირვები.

წეროვანში გატარებული შაბათ-კვირა იყო მართლაც შთამბეჭდავი, სულიერებით აღვსილი ორი დღე. ჭეშმარიტად იმდენი მადლი, სითბო და სულიერება ტრიალებდა იქ, რომ ზოგიერთმა მონაწილემ, საერთო გადაღლის მიუხედავად, ფხიზლად გაატარა მთელი ღამე.

მამა პიერის კომენტარებმა თითოეულ მონაწილეს სხვაგვარად დაანახა მარკოზის მიერ სახარების თავებში გადმოცემული ამბები. ცალკეული მუხლების, ზოგჯერ ცალკეული სიტყვის ანალიზი გვეხმარება უკეთ გავიგოთ სახარების ტექსტი, ხოლო მდუმარებაში ფიქრის დროს უკეთ ვწვდებით სახარების სიბრძნის სიღრმეს და საერთო განწყობაც და ფონიც ხელს გვიწყობდა უკეთ განგვეცადა სახარებისეული შინაარსი და მუხტი. ხოლო მდუმარებამ ისეთი დადებითი განწყობა დაბადა, რომ

ბევრს სურვილიც გაუჩნდა პერიოდულად განხორციელდეს მსგავსი პრაქტიკა. სამწუხაროდ, საქართველოში არ არის მოქმედი კათოლიკური მონასტერი, სადაც საშუალება იქნებოდა პერიოდულად, თუნდაც ერთი-ორი დღე-ღამის განმავლობაში, მონასტერში დარჩენა (მსგავსი პრაქტიკა ერთობ პოპულარულია დასავლეთ ევროპაში, სადაც ცალკეული მორწმუნეები რამდენიმე დღით სტუმრობენ მონასტრებს. ეს პრაქტიკა ნელ-ნელა ქართველ მართლმადიდებლებშიც ინერგება), მაგრამ სანამ მონასტერი ამოქმედდება, ალბათ, შესაძლებელი იქნება წეროვანის კულტურისა და სულიერების სახლში რამდენიმე დღის გატარება ლოცვასა და მღუმარებაში.

შეუმჩნევლად გაიარა დღენახევარმა და წეროვანში მეუფე ჯუზეპე გვესტუმრა და მღუმარების დასრულების შემდეგ, როდესაც ყველანი დარბაზში შევიკრიბეთ, ბიბლიის ერთად კითხვის შესწავლის აუცილებლობაზე, მოკლე ქადაგებით მოგვმართა: „თქვენ ერთად, მღუმარებაში გაატარეთ დღე. უნდა იცოდეთ, კარგი მეგობრები ერთად მღუმარებენ. თქვენ ერთად კითხულობით ბიბლიას, ეს არის ჩვენი საკრებულოს სურათი. როცა ერთად ვართ ხშირად უნდა გვქონდეს ბიბლია და ერთად უნდა ვკითხულობდეთ. ჩვენი ეკლესიის ერთი კეთილი ნაყოფი იქნება თუ შეიქმნება ბიბლიის შემსწავლელი ჯგუფები. ბიბლია განძია, რომელიც ყოველთვის შეგიძლია აირჩიო. ბიბლიის კითხვა საოცრებაა“.

დღის მეორე ნახევარში, წეროვანში რეკოლექციის წევრებთან შესახვედრად, თბილისიდან ჩამოვიდნენ კათედრალური ტაძრის წინამძღვარი მამა ანდრეა და სამწყსო საბჭოს წევრები. შეხვედრა მეტად ნაყოფიერი და საინტერესო გამოდგა, რომელიც შემდგომ ცხარე სჯაკამათში გადაიზარდა. მსგავსი შეხვედრები და იქ გამართული ცხარე დებატები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საკრებულო, რომელიც უკვე შვიდი წელია არსებობს, ახალ, ეტაპზე გადადის, ხდება მისი თვისობრივი კონსოლიდაცია.

P.S. წეროვანში ჩატარებული ნაყოფიერი რეკოლექციის რეალური შედეგი კი ის გახლავთ, რომ ყოველ სამშაბათს ბიბლიის შემსწავლელი ჯგუფი, მამა პიერის ხელმძღვანელობით, აგრძელებს ბიბლიის კითხვას, ხოლო საკათედრო ტაძრის სამრევლო საბჭოს ინიციატივით ჩატარდა საკრებულოს კარიტასის წევრების არჩევნები და უახლოეს მომავალში სათანადო წვრთნაგავლილი ადგილობრივი კარიტასის წევრები თავიანთ მოხალისეობრივ საქმიანობას შეუდგებიან.

ნუგზარ ბარდაველიძე
წეროვანი-თბილისი

ლოცვა მშვიდობის ფესვებია

1986 წლის ოქტომბერში ასიზიში, წმ. ფრანცისკეს ქალაქში, ლოცვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, რომის პაპმა იოანე პავლე II-მ პირველად მოუხმო დიდი რელიგიების წარმომადგენლებს. მსოფლიო

რელიგიების 70-მა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა მშვიდობისათვის ლოცვაში.

რომის წმიდა ეჯიდიოს საკრებულომ ინიციატივა აიღო გაეგრძელებინა იოანე პავლე II-ის მიერ ასიზიში დაწყებული მშვიდობის მრავალფეროვანი დღესასწაული. მას შემდეგ საკრებულო ყოველწლიურად მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში ატარებს მშვიდობისათვის ლოცვას.

წელს, 2006 წლის 4-5 სექტემბერს, 20 წლის შემდეგ, ასიზიში კუდეკ ერთხელ შეიკრიბნენ სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები. მათ ლოცვებს, რომელსაც დიდი რელიგიების წარმომადგენლები ერთობლივად და თავისებურად აღავლენენ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობისა და კაცობრიობისათვის. მოწვეულ სტუმრებში იყვნენ: იტალიის პრეზიდენტი, იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრი, ალექსანდრიის, რუსეთის, სერბეთისა და რუმინეთის საპატრიარქოს წარმომადგენლები, ბურკინა ფასოს პრეზიდენტი, ეთიოპიის ეკლესიის პატრიარქი, ისრაელის მთავარი რაბინი და მრავალი სხვა.

ბოლო დღეს რელიგიების წარმომადგენლები შეიკრიბნენ ლოცვის აღსავლენად, ხოლო ლოცვის დასასრულს ყველანი ერთად გაემართნენ წმ. ფრანცისკეს მოედნისაკენ, სადაც ყველამ ხელი მოაწერა მშვიდობისათვის მოწოდებას. ანთებული ჩირაღდნების შუქზე ერთმანეთს ერწყმოდა პატრიარქების სავი ანაფორები და ბუდისტების ყვითელი ტუნიკები, ინდუისტების მეწამული და ფერადი ჩაღმები, ებრაული კიპა და მუსლიმური ტარბუშები...

ქუთაისის წმ. ეჯიდიოს საკრებულო

სულიერი ცხოვრება

კეთილი აღსარებისათვის

*„ცოდვის ჩამდენი ცოდვის მონა ხდება.
მხოლოდ ჭეშმარიტება გვათავისუფლებს“*

მიმიღე შენს გულში, უფალო იესო!
ჩემს დასახსნელად შენ განკაცდი,
მოკვდი და აღდექი ჩემთვის:
შენს გულმოწყალებაშია სასოება ჩემი.

მომიტყვე უფალო, მრავლად შევცოდე!
ს ი ნ დ ი ს ი ს გ ა მ ო ც დ ა

სულო წმიდაო, შემეწიე გულწრფელად და ჭეშმარიტი სინანულით ვაღიარო ყოველი ჩემი ბრალი.

I - „შეიყვარე უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით“

- ვარ თუ არა ქრისტიანი ყოველდღიურ ცხოვრებაში, თუ მხოლოდ სახელით?
- არის თუ არა ჩემი რწმენა ნამდვილი და მოქმედი, თუ მხოლოდ სხვის დასანახად? ვარ თუ არა ცრუმორწმუნე, ხომ არა მრწამს მაგისა, ჯადოქრობისა? ხომ არ დავდივარ (ან ვყოფილვარ) მკითხავებთან (კარტის გაშლა, ყავა, ჰოროსკოპები...)?
- ვლოცულობ მხოლოდ მაშინ, როცა რაიმე მაქვს სათხოვარი ღმრთისათვის, თუ მუდამ, მაშინაც კი როცა ჩემი საქმეები (ჯანმრთელობა, სამსახური, საქმიანობა...) არ მიდის ისე, როგორც მე მინდა?
- ღმერთი ხომ არ დამიგმია, ხომ არ შემიგინებია, დამიწყევლია ღმერთი და მოყვასი (წმიდანები და წმიდა საგნები)?
- ვიღებ თუ არა მონაწილეობას ღმრთისმოსავად და ნაყოფიერად საკვირაო (და სადღესასწაულო) წმიდა წირვაში, საიდუმლოებში (აღსარება, ზიარება...), კატეხეზაში? ცუდს ხომ არ ვამბობ ხოლმე რელიგიაზე, ეკლესიაზე, რომის პაპზე?
- რა არის ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი, ფული, მატერიალური კეთილდღეობა, კარიერა, წარმატება, გართობა თუ ღმერთი და მარადიული ცხოვნება?

II - „შეიყვარეთ ერთერთი ძმებით, ისე, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ“

- სახარება გვასწავლის, რომ შეუძლებელია შეიყვარო ღმერთი მოყვასის შეყვარების გარეშე. დარწმუნებული ვარ ამაში?
- როგორც შვილი, ვარ თუ არა დამჯერი და მაქვს თუ არა მოწიწება მშობლებისა, ბებია-ბაბუისა, დედამამიშვილებისა და ოჯახის წევრთა?
- როგორც დანიშნული, ვემზადები თუ არა სერიოზულობით ჯვრისწერისათვის, ჩემს დანიშნულთან ერთად ღოცვითა და მასთან სპეტაკად ცხოვრებით, რათა ამგვარად ვისწავლო ნამდვილი და გულწრფელი სიყვარული?
- როგორც მშობელი, ვზრუნავ თუ არა შვილების ადამიანური და ქრისტიანული აღზრდისათვის? ვაძლევ თუ არა მათ კარგ მაგალითს? ვპოულობ თუ არა დროს და საშუალებებს მათთან ყოფნისათვის და მათთან ერთად სალოცავად?
- როგორც მეუღლე, ვარ თუ არა ერთგული ოჯახური და ცოლ-ქმრული ვალდებულებებისა? ვარ თუ არა გახსნილი დიალოგზე, ვარ თუ არა მომთმენი, მიმტევებელი და შემწყნარებელი მეუღლის სისუსტეებისა და ნაკლოვანებებისა?
- მიყვარს თუ არა მოყვასი იესო ქრისტეს მაგალითისამებრ? იოლად ხომ არა ვღებ ბრალს, ხომ არ მშურს, ვეჭვიანობ? ავსიტყვა და მოძალადე ხომ არ ვარ? ჭორებს ხომ არ ვავრცელებ?
- როგორც მომუშავე ან დამქირავებელი, ვარ თუ არა სამართლიანი, პატიოსანი, სხათა უფლებათა დამცველი?
- ვუფრთხილდები თუ არა სხვათა სიცოცხლეს? ხომ არ გამიკეთებია ან მირჩევია აბორტი?

- ხომ არ მომიპარავს? ვაჭრობისას ხომ არ მომიტყუებია? სხვისი ან საზოგადოებრივი საკუთრებისათვის ზიანი ხომ არ მიმიყენებია?
- ვმართავ თუ არა ავტომანქანას გონივრულად, საკუთარი და სხვისი სიცოცხლის გაფრთხილებით?

III - ვალდებულებანი საკუთარი თავის წინაშე

- ვეკითხები თუ არა საკუთარ თავს, უფლის წინაშე, თუ რა სურს ღმერთს ჩემგან, რა არის ჩემი მოწოდება?
- ვზრუნავ თუ არა საკუთარ სულიერ ცხოვრებაზე ყოველდღიური ღოცვით, ღმრთის სიტყვით?
- ვღებულობ თუ არა მონაწილეობას ინტერესითა და მოვალეობის შეგნებით სამრევლო და ეპარქიული საკრებულოს ცხოვრებაში?
- როგორ ვიყენებ უფლისაგან მონიჭებულ დროსა და სხვადასხვა ნიჭს? ვაკეთებ თუ არა რამეს ყველაზე სუსტათვის?
- ვინახავ თუ არა სპეტაკად ჩემს გულსა და სხეულს? არასუფთა ფიქრებსა და წადილს ხომ არ ვაძლევ ადგილს? სხვას ხომ არ ვაბრკოლებ ჩემი ქცევით? ხომ არ ვაძლევ ნებას საკუთარ თავს სკანდალური წიგნებისა და პრესის, სატელევიზიო პროგრამებისა და გართობათა კითხვისა, ყურებისა და მონაწილეობისა?
- ხომ არ ვაჭარბებ ჭამაში, სმასა და თამბაქოში? ნარკოტიკებს ხომ არ ვხმარობ? აზარტულ თამაშებს და ნიძღაგებს ხომ არ ვეძალები?
- როგორც ქრისტიანი მოქალაქე ვასრულებ თუ არა პოლიტიკურ და სოციალურ ვალდებულებებს? ვიხდი თუ არა გადასახადებს? ვუფრთხილდები თუ არა გარემოს?
- სხვა რაში მდებს ბრალს ჩემი სინდისი?

პოეზიის გვერდი

აკაკი წერეთელი

ცოდვილის სინანული

სოფლის დეღვისგან აღტაცებულმან,
გადავსცდი მცნებას, გცოდე, მამაო!
და ვაი! დღეს სცნო ბოროტმა სულმან
სოფელი ესე ცრუ და ამაო!

ვერძნობ, სახიერო! ეს ბოროტება
გამოუთქმელი და საშინელი,
თუმც სხვათ ბოროტთა აღემატება,
მაგრამ შენდობას მაინც მოველი.

რადგან, ზეცავ, შენ, აჰა, მოგმართე,
ამაოდ ნუ ჰყოფ ჩემს სინანულსა!

კეთილისათვის გზა წარმიმართე,
ძალმეც, ვსთრგუნვიდე ბოროტსა სულსა!

შენანებულს შენ არ მოიძაგებ,
ნუგეში ამით მე მემატება!
და სულგრძელებას შენსას ვადიდებ,
ოდეს მეზვერე გამახსენდება.

1859

ისტორიის ფურცლები

მაინტერესებს სტამბულში არსებული კათოლიკეთა სავანის ისტორია,
იქ მოღვაწე კათოლიკე მამულიშვილების ბელი.

მარინა ფხაკაძე
ქუთაისი

**რატომ იჩქმალება ქართველ კათოლიკეთა დამსახურება
სამშობლოსა და ერის წინაშე?**

ქართველ კათოლიკეთა ისტორია მათი ბრძოლა და მუხლჩაუხრელი შრომა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, მისი კეთილდღეობისათვის, საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილია და მას ვერავინ ამოშლის იქიდან.

კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერი 1859 წელს დააარსა დიდმა მამულიშვილმა, მამა პეტრე ხარისჭირაშვილმა. მას ქართველ კათოლიკეთა „მეორე მათედ“ მოიხსენიებდნენ. „როცა თურმე პ. ხარისჭირაშვილმა პირველად შეასრულა ქართულ ენაზე გალობა, ძმობის ყველა წევრს ცრემლი მოერიო. მათ დაიხოქეს ხარისჭირაშვილის წინ და მისი ჯანმრთელობა შესთხოვეს მაცხოვარს“, – წერს პროფესორი შოთა ლომსაძე. მონასტრის თაღზე ამოკვეთილი იყო დიდი ქართული წარწერა: „წმიდაო მარიამ, დაიცავ ივერიელნი“.

მონასტერთან ფუნქციონირებდა სკოლა, რომლის მოსწავლეები იყვნენ სტამბულის ბაზარზე გასაყიდად გამოყვანილი, ხშირად თანამოძმეთაგან გატაცებული და შემდეგ ქართველი კათოლიკეების მიერ გამოსყიდული ქართველი ბავშვები და ახალციხიდან წამოყვანილი სწავლასმოწყურებული ყმაწვილები. სწავლის დასრულების შემდეგ მათ სამშობლოში აგზავნიდნენ, ხოლო განსაკუთრებით ნიჭიერებს ევროპაში – სწავლის გასაგრძელებლად. სწავლა ქართულ და სხვადასხვა უცხო ენებზე მიმდინარეობდა. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ქართველ მაჰმადიანთა მიზიდვას და მომზადებას, რათა მათგან აღზრდილიყვნენ ქართული ენისა და მამულიშვილური გრძნობების დამცველი პატრიოტები. ეს ის პერიოდი იყო,

როდესაც ცარიზმიც და თურქეთის ხელისუფლებაც ყველა ხერხით ცდილობდნენ ქართველებისაგან მშობლიური ენისა და ეროვნული თვითშეგნების ამოძირკვას. რუსეთის იმპერატორის ბრძანებით, საქართველოს ეკლესია-მონასტრებში (როგორც მართლმადიდებელ, ისე კათოლიკე ეკლესიებში) აიკრძალა ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა. მაგრამ ქართველი ხალხი არ ურიგდებოდა უზურპატორტა განზრახვას და იბრძოდა მის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში დიდი წვლილი შეიტანეს როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველმა კათოლიკეებმა.

კონსტანტინოპოლის მონასტერში 1870 წელს აამუშავეს ქართული სტამბა, სადაც იბეჭდებოდა როგორც რელიგიური, ისე მხატვრული ლიტერატურა; წიგნები ისტორიის, ფილოსოფიის, საბუნებისმეტყველო დარგებიდან. მონასტერში დაბეჭდილი წიგნები საქართველოში იგზავნებოდა, ზოგი კი ვრცელდებოდა თურქეთში მცხოვრებ ქართველთა შორის. კონსტანტინოპოლის ძმობამ საფრანგეთის ქალაქ მონთობანში დააფუძნა ახალი ძმობა და იქაც გამართა ქართული სტამბა. ყოველივე ეს ემსახურებოდა ქართველთა შორის განათლებისა და ეროვნული შეგნების დონის ამაღლებას. თურქეთში მრავლად ცხოვრობდა და საქმიანობდა, როგორც მაჰმადიანი, ისე მართლმადიდებელი თუ კათოლიკე ქართველები. კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერი გახდა თურქეთში მცხოვრები ყოველი ქართველის შეკრებისა და ურთიერთობის ადგილი. აქ იკრიბებოდნენ სხვადასხვა რელიგიის მიმდევარი ქართველები. მათ აერთიანებდათ სამშობლოს სიყვარული, ისინი მსჯელობდნენ მის მომავალზე და თითოეულს თავისი წვლილი შეჰქონდა მამულიშვილური საქმეების განხორციელებას. ეს იყო ადგილი ქართული დიასპორის შეკრებისა. მონასტერი დიდად ეხმარებოდა ყველა ხელმოკლე ქართველს, მიუხედავად სარწმუნოებისა. აქ მოწყობილი ჰქონდათ სასტუმრო, სტამბოლში ჩამოსული უბინაო ქართველებისათვის.

1918 წლის 26 აპრილს მონასტერში საზეიმოდ აღინიშნა ჩვენი სასიქადულო მგოსნის, აკაკი წერეთლის, იუბილე. ამავე წელს აქვე გაიხსნა მისივე სახელობის ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომელშიც დღემდე დაცულია უნიკალური ლიტერატურა, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე. 1910 წლის აგვისტოში საფრანგეთში მიმავალი აკაკი წერეთელი სტამბოლში, ქართველ კათოლიკეთა მონასტერში გაჩერდა. მონასტრის სასტუმროში მგოსანს სპეციალური ოთახი მოუწყვეს, მეორე დღეს კი საზეიმო სადამო გაუმართეს.

1921 წელს საზღვარგარეთ ემიგრირებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრთა მასპინძელიც ქართველ კათოლიკეთა საგანგ იყო. აი, რას ამბობს ვენეციელი ევგენი დალექიო დალესიო თავის ნაშრომში „ქართველები კონსტანტინოპოლში“: „უცხოეთში გადმოხვეწილ ქართველო, რა რწმენისა და მისწრაფების გინდა იყო, მოდი ამ საგანგში და აქ ნახავ შენს თანამემამულეთა ძმურ, შინაურ და ზრდილობიან დახვედრას. მალე იგრძნობ, თვალთ ნახავ, არა მარტო შიგ მცხოვრები ქართველების სახეზე შენი ქვეყნისა და შენი ერის დიდებას, მწუხარებას, არამედ ამას კედლებიც მეტყველებენ. ამ საგანის დამაარსებლის და მისი მოწაფეთა სურათებიც გვიკარნახებენ ზნეობას, მოვალეობის აღსრულებას, სარწმუნოებას და ღრმა რწმენას მომავალი აღორძინებისა და დიდებისა“.

ჩემი მიზანი არაა ამ სავანის მკვიდრთა მოღვაწეობის სრული სურათი დაგხატო. მე მხოლოდ მინდა გამოვხატო ქართველ კათოლიკეთა წუხილი მათდამი დამოკიდებულების გამო. სამწუხაროდ, ქართველ კათოლიკეებს დღესაც უხდებათ არა თუ სხვა ერის წარმომადგენელთა, არამედ ზოგიერთ თანამემამულეთა დარწმუნება, რომ ისინიც ჩვეულებრივი ქართველები არიან, იმ განსხვავებით, რომ ისინი მსოფლიო კათოლიკე ეკლესიასთან არიან კავშირში, რომელსაც საუკუნეების წინ შეუერთდნენ მათი წინაპრები. ქართველმა კათოლიკეებმა გადაეს პირველი ხიდი საქართველოსა და დასავლეთს შორის. ამ კავშირს არ მოჰყოლია ჩვეულებების, ტრადიციების, ცხოვრების წესის შეცვლა. არ დაუკარგავთ არც ენა, არც სამშობლოს სიყვარული, არც რაიმე ღირებული ქართული ზნე-ჩვეულებებიდან და დამატებით ევროპულ კულტურასაც ეზიარნენ.

ისტორიის მანძილზე არასოდეს ჰქონია ადგილი მწვავე დაპირისპირებას ქართველ კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს შორის, ისინი ყოველთვის ერთად განაგრძობდნენ ერის ინტერესების დაცვას. ქართველი კათოლიკეები სიყვარულით და პატივისცემით არიან გამსჭვალულნი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისადმი, მისი მრევლისადმი და ღოცვას ადავლენენ მათი კეთილდღეობისადმი, სამშობლოს დიდებისათვის, ეკლესიათა ერთიანობისათვის.

1988 წლის 10 ივლისს სოფელ უდეს ტაძარში მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია II-მ ბრძანა: „ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენ ერთნი ვართ და გვწამს სამება – მამა, ძე და სული წმიდა. და თუ მაინც მოხდა რომსა და ბიზანტიას შორის განხეთქილება XI საუკუნეში, ეს უფრო პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა და არა დოგმატურ-ღმრთისმეტყველურს. თანაც, ამ განხეთქილების მიუხედავად, „არ მომხდარა განხეთქილება რომსა და საქართველოს შორის“. კათოლიკოს-პატრიარქმა ბრძანა: „განხეთქილება მოხდა პოლიტიკური მიზეზების გამო და არა რწმენაში განსხვავების გამო. მე ვყოფილვარ რომში, სადაც თაყვანი ვეცი მოციქულების პეტრესა და პავლეს წმიდა ნაწილებს, სადაც ერთად ვლოცულობდით ჩვენ და კათოლიკენი. თქვენს შორისაც უნდა იყოს სიყვარული და ერთად ილოცოთ“.

ამ სიყვარულსა და ერთობას ქადაგებს რომის კათოლიკე ეკლესიაც. უფალს ვთხოვ გაანათოს მათი გულები და გონება, ვისაც ჯერ კიდევ ვერ შეუგვრძნია ამ სიყვარულის ჭეშმარიტება, ძალა და საჭიროება ჩვენი ქვეყნის წინსვლისათვის.

თენგიზ პარმაქსიზიშვილი
ბათუმი

ახალგაზრდული გვერდი

სამშვიდობო მისიით აზერბაიჯანში

2006 წლის 19 აგვისტოს საქართველოს სხვადასხვა საკრებულოების შვიდი ახალგაზრდა და ჟოზეფინას ხელმძღვანელობით შევიკრიბეთ თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარში, სადაც მივიღეთ კურთხევა ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოსაგან და გავემგზავრეთ აზერბაიჯანში, კერძოდ, ბაქოში სამშვიდობო მისიით. ბაქოს

სადგურში ჩვენ დაგვხვდნენ ადგილობრივი კათოლიკე ახალგაზრდები საღეზელ მამა მარტინთან ერთად. იმავე საღამოს შემოგვიერთდა იტალიელთა 12 კაციანი ჯგუფი, სპოლეტოდან. მათ შორის იყო ორი ახალგაზრდა მღვდელი: დონ კლავდიო და დონ დავიდე.

შეხვედრის მიზანი იყო სამი ქვეყნის ახალგაზრდებს შორის მეგობრობის მარცვალის ჩაგდება და მისი კიდევ უფრო გაღრმავება.

ბაქოში გატარებული ექვსი დღე ახალგაზრდების დაახლოების საუკეთესო საშუალება გამოდგა: გავიცანით თანატოლები, ერთმანეთის გავუზიარეთ ჩვენი გამოცდილება რწმენაში და სხვა ახალგაზრდული პრობლემები.

აზერბაიჯანელმა ახალგაზრდებმა დიდი სითბო და სიყვარული გამოიჩინეს იქ ჩასული თანატოლების მიმართ, გაგვაცნეს ქვეყნის კულტურა და ადათ-წესები, დაგვათვალისწინეს ბაქოს ღირსშესანიშნავი და ისტორიული ადგილები. ვნახეთ ბაქოში მშენებარე კათოლიკური ეკლესია, რომელსაც უახლოეს მომავალში აკურთხებენ, მოვინახულეთ დედა ტერეზას დები.

24 აგვისტოს ქართველი, იტალიელი და რამდენიმე ბაქოელი ახალგაზრდა გამოვემგზავრეთ საქართველოში, კერძოდ ბაკურიანში. ეს იყო ჩვენი მისიის მეორე და მნიშვნელოვანი ეტაპი, სადაც ოთხი დღის განმავლობაში, ყოველდღიური შეხვედრები გვქონდა წმიდა საყდრის ელჩთან, არქიეპისკოპოს კლავდიო გუჯეროტთან. შეხვედრის მთავარი თემები იყო: ეკლესიის უნივერსალურობა, მნიშვნელობა და ერთიანობა ქრისტიანებს შორის. საუბრები იყო ისეთ საკითხებზეც, როგორცაა, კათოლიკეთა პრობლემები სხვა კონფესიებთან. ღეკციების შემდეგ ხდებოდა მოსმენილის გააზრება და ჯგუფებს შორის აზრთა გაზიარება, საშუალება გვქონდა გამოგვეხატა საკუთარი აზრი.

ჩვენი მისიის დასკვნითი ეტაპი წეროვანში შედგა: ჩამოსვლისთანავე მოეწყო შეხვედრა მონსინიორ ჯუზეპე პაზოტოსთან, რომელმაც იტალიელი და ბაქოელი სტუმრები უფრო ღრმად ჩაახედა ქართულ კულტურასა და კათოლიკური ეკლესიის წარსულში. ასევე, ესაუბრა ქართულ სტუმართმოყვარეობაზე.

ქართველი, იტალიელი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდები სამი დღის განმავლობაში „საქართველოს კარიტასის“ მოხალისეებიც ვიყავით. პარალელურად ვათვალისწინებდით თბილისის კულტურულ და ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, რამაც სტუმრები აღტაცებაში მოიყვანა.

ჩვენი 13 დღიანი ერთად ყოფნის დასკვნითი ნაწილი იყო აღორაცია, რომელიც 31 აგვისტოს ღამით მოეწყო.

პირველ სექტემბერს ყველანი ერთად ავედით მთაწმინდის პანთეონში, სადაც ერთმანეთს გამოვეთხოვეთ ქრისტეს სიყვარულითა და კეთილი სურვილებით.

თამუნა ჩილინგარიშვილი, ირმა ჭიდვარია, ლევან შიხაშვილი

ყველა ხალხი ერთია ქრისტეში.

ამ წერილით მინდა მოგიხსროთ იმ შეხვედრაზე, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველი ნაწილი ჩატარდა აზერბაიჯანში, ქალაქ ბაქოში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს, აზერბაიჯანისა და იტალიის ახალგაზრდებმა. მეორე ნაწილი კი – საქართველოში. შეხვედრის მიზანი იყო ახალგაზრდების, განსაკუთრებით კი ქრისტიანი ახალგაზრდების გაცნობა და დამეგობრება.

ამ შეხვედრის შემდეგ მე ნათლად გავიგე კათოლიკური ეკლესიის უნივერსალურობა, რაც აქამდე ჩემთვის გაურკვეველი იყო, რადგანაც მხოლოდ ჩემი საკრებულოს ცხოვრებით ვცხოვრობდი. ამგვარად, ადგილობრივი ეკლესია თავისთავად ერთობაშია მსოფლიოს სხვა ეკლესიებთან. ახლა მე ვიცი, რომ თუ კი მოვხვდები მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის კათოლიკე ეკლესიაში, ვიქნები სახლში, რადგანაც ესაა იესო, რომელიც ქმნის საეკლესიო ოჯახს და ის ყოველთვის მიმიღებს ნებისმიერ ეკლესიაში. ერთად ცხოვრების ორკვირიანმა დრომ დამანახა, რომ ყველა ეკლესიაში ყველაფერი განსაზღვრული „სქემით“ ერთნაირად უნდა მიმდინარეობდეს, მაგრამ რამდენად მშვენიერია, როცა ხედავ, რომ თითოეულ ერს აქვს რაღაც განსაკუთრებული, რომლის რეალიზაციასაც ქრისტიანულ ცხოვრებაში ახდენს. წარმოიდგინეთ ჩვენი უნივერსალური (კათოლიკე) ეკლესია, როგორც სურათი, ხოლო ადგილობრივი ეკლესიები კი – საღებავები, რომლითაც დახატულია ეს სურათი. რა იქნებოდა თუ ყველა სარებავი ერთი ფერის, მაგალითად, ლურჯი ან ნაცრისფერი იქნებოდა, მაშინ ხომ სურათიც აღარ დაიხატებოდა? სურათი სხვადასხვა ფერების კომბინაციისგან იქმნება და ყველა ფერს თავისი მნიშვნელობა და ადგილი აქვს ნახატში. ამგვარად ჩვენი „სხვადასხვა“ ეკლესიები განსხვავებული თავისი წესებით, გალობებით და სხვ. მსოფლიო ეკლესიას აძლევს თავისებურ მრავალფეროვან ხასიათს.

ბოლოს მინდა ვთქვა, რა შესანიშნავი გრძნობაა, როცა თავს გრძნობ როგორც ოჯახში და შენს ირგვლივ ყველა სხვადასხვა ენაზე საუბრობს. და რა შესანიშნავია, როცა გრძნობ რომ ძალია რომელიც ჩვენ, ყველას, გვაერთიანებს ერთ ოჯახად – ქრისტეს სიყვარულია.

მთელი ჯგუფის სახელით მადლობას ვწირავთ უფალს ამ ორი კვირის მანძილზე ერთ ოჯახად ცხოვრებისათვის. დაე, ყოველთვის ჩვენთან იყოს ღმერთის სიყვარული.

სამირ აბდულაევი, აზერბაიჯანი

განცხადება

„საბას“ 2006 წლის სექტემბრის ნომერში (№9) დაიბეჭდა ნუგზარ ბარდაველიძის სტატია, რაც გამოხატავს მის პირად აზრს და ამ სტატიაში გატარებული მისი პოზიცია არანაირად არ აისახება მის ლექციებზე.

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტში ბატონი ნუგზარ ბარდაველიძე კითხულობს რელიგიათმცოდნეობის კურსს.

ინსტიტუტი „საბა“ და ჟურნალი „საბა“ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია.

ამ პატარა ინსტიტუტში თანამედროვე ევროპული სტანდარტებით ისწავლება: თეოლოგია, ფილოსოფია, ისტორია, კულტურა, ასევე, დამხმარე საგნები, როგორცაა თანამედროვე და ძველი ენები, ხელოვნების ისტორია, ლიტერატურა და სხვ.

პროფესორთა არჩევა მათ კონფესიაზე არ არის დამოკიდებული. პედაგოგთა შორის არიან სასულიერო პირებიც (საქართველოში მცხოვრები უცხოელი მოქალაქეები, თავისი საგნის ევროპაში ცნობილი სპეციალისტები).

ინსტიტუტი არაკონფესიურია. აქ არავინ ეწევა პროპაგანდას და პროზელიტიზმს, ასევე, არ შეურაცხყოფენ სხვადასხვა რელიგიებსა და კონფესიებს. ამას პროფესორები და სტუდენტები მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევენ – პატივისცემით ექცევიან ერთმანეთის საეკლესიო დღესასწაულებს. ღმრთისმოსაობის შესახებ დაე, თითოეულმა თავის მოძღვარს მიმართოს. თუ ვინმეს ამგვარი პოზიცია არ აწყობს, შეუძლია სხვა ინსტიტუტი აირჩიოს.

ინსტიტუტის სახელწოდება საქართველოს ისტორიაში ცნობილი ადამიანის სახელს უკავშირდება. სულხან-საბა ორბელიანს გამოჩენილ თეოლოგს, ფილოსოფოსს, ისტორიკოსს და კულტურის მოღვაწეს კარგად იცნობდნენ, არა მარტო საქართველოში არამედ ევროპაშიც. ეს მოსიყვარულე და ურთიერთობებისათვის გახსნილი ადამიანი თავდაუზოგავად ემსახურებოდა საკუთარ სამშობლოს მისთვის ძნელ პერიოდში.

სულხან-საბა ორბელიანი დღესაც დიდი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობს საქართველოში და ჩვენი ინსტიტუტის სახელწოდებაც ამ დიდი სიყვარულის ნაყოფია. ხელახლა გამოვეცით სულხან-საბას ბიბლიოგრაფიულ იმვიათობად ქცეული წიგნები და მისი ბიოგრაფია, რითაც კიდევ ერთხელ მივაგეთ პატივი მის ნათელ ხსოვნას.

მამა პიერ დიუმულენი

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტის რექტორი; ძველი ენებისა და ეგზეგეტიკის პროფესორი


ამონარიდი მოსკოვის საქაპატრიარქოს ვებგვერდიდან

რომის კათოლიკე ეკლესიის ვატიკანის II კრებამ მართლმადიდებელ ეკლესიას და-ეკლესია უწოდა, რითაც მისი მადლმოსილება და საიდუმლოთა ჭეშმარიტება აღიარა. მართლმადიდებელი ეკლესია, თავის მხრივ, ყოველთვის აღიარებდა კათოლიკე ეკლესიის საიდუმლოებათა ჭეშმარიტებას. ამის ხილული მოწმობა ის ფაქტია, რომ კათოლიკენი მიიღებიან მართლმადიდებლობაში ე. წ. მესამე წესით – არა ნათლობით, როგორც არაქრისტიანები და სექტანტები, არა მირონცხებით, როგორც პროტესტანტები, არამედ მონანიებით, როგორც “რასკოლნიკები”.

კათოლიკე ეკლესიის სამღვდელთა მიიღებია ამავე წესით, იმ ხარისხის შენარჩუნებით, რომელშიც აღყვანილ იყვნენ თავიანთ ეკლესიაში.

არ არის შემთხვევითი, რომ სტაროვერები, რომლებიც გამოეყვნენ მართლმადიდებელ ეკლესიას, მიიღებია მართლმადიდებლობაში იმავე წესით, როგორც ლათინური წესის კათოლიკენი.

აღნიშნული ფაქტი მოწმობს, რომ მიუხედავად სერიოზული, პრინციპული შეუთანხმებლობისა რწმენის სწავლებასა და სულიერი ცხოვრების მთელ რიგ საკითხებში, კათოლიკობა აღიქმება მართლმადიდებელი ცნობიერებისა და ტრადიციის მიერ როგორც ქრისტიანული საკრებულო, რომელიც გამოყოფილია მართლმადიდებელი ეკლესიისაგან, მაგრამ სამოციქულო მემკვიდრეობას ინარჩუნებს.



17.03.98

www.russian-orthodox-church.org.ru/vr110771.htm

მომლოცველობა სრული ერთობისკენ

იოანე პავლე მეორისა და პატრიარქ ბართლომეოსის ერთობლივი დეკლარაცია

29/06/1999

მადლობას შევწირავთ უფალს ჩვენი ძმური შეხვედრისთვის, რომელიც განხორციელდა მისი სახელით, მორჩილი და მტკიცე განზრახვით, დავემორჩილოთ მის ნებას – რათა მისი ყველა მოწაფე ერთი იყოს (იხ. ინ 17,21). ჩვენი შეხვედრა იმ უდიდეს მოვლენათა რიგშია, რომლებმაც გამოავლინა ჩვენი ეკლესიების სურვილი, დავიწყებოთ მისცენ ყველა წარსული განკვეთა და დადგინდეს სრული ერთობის განახლების გზაზე. ჩვენმა ღირსეულმა წინამორბედებმა, ათენაგორა პირველმა და პავლე

მეექვსემ, სანამ შეხვედებოდნენ უფლის სახელით, მოილოცეს იერუსალიმი – სწორედ ის ადგილი, სადაც უფალმა თავისი სიკვდილითა და აღდგომით მოუტანა ადამიანებს მიტევება და ხსნა. შეხვედრებმა ფანარსა და რომში საფუძველი ჩაუყარა ძმური ვიზიტების ტრადიციას და ნამდვილ დიალოგს სიყვარულსა და ჭეშმარიტებაში. ვიზიტები განახლდა პატრიარქ დიმიტრიოსის მოსაყდრეობისას, როდესაც გახსნილად გამოცხადდა თეოლოგიური დიალოგი. უფლის სახელით განახლებულ ძმობას მივყავართ გახსნილი დიალოგისკენ, რომელიც ურთიერთგაგებასა და ერთობას ეძებს.

ეს დიალოგი – შერეული კომისიის დახმარებით – ძალზე ნაყოფიერი იყო. მან გამოავლინა ეკლესიის საერთო საკრამენტული კონცეფცია, დაცული და გადმოცემული სამოციქულო მემკვიდრეობაში. ჩვენს ეკლესიებში სამოციქულო მემკვიდრეობა საფუძველია რჩეული ხალხის სიწმიდისა და ერთობისა. ღმრთის სიყვარულის საიდუმლო ხორციელდება ყველა ადგილობრივ ეკლესიაში და ამგვარად ქრისტეს ეკლესია ავლენს თავის ქმედით მყოფობას ყოველ მათგანში. /... / და-ეკლესიებს აკისრიათ ერთობლივი პასუხისმგებლობა, შეინარჩუნონ ღმრთის ერთადერთი ეკლესია, იყონ ერთგულნი ღმრთის ჩანაფიქრისა და განსაკუთრებით იზრუნონ ერთობისთვის.

მთელი გულით ვვედრებით ეკლესიის უფალს, რომ ამ ერთობლივმა განცხადებებმა არა მხოლოდ გზა გაუხსნას არსებულ სიძნელეთა დაძლევის, არამედ, ამიერიდან მისცეს კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს უფლებამოსილება რწმენის ერთობლივი დამოწმებისა.

ღია წერილი ჩვენს უცნობ მკითხველს

ჟურნალ „საბაში“ (№ 9) გამოქვეყნებულმა ჩემმა პუბლიკაციამ „ცხარე კამათი ტოლერანტობის შესახებ ანუ ვის აშინებენ კათოლიკეები?“ მართლაც ცხარე კამათი და გამოსმაურება გამოიწვია მკითხველში. ჩვენი ერთგული მკითხველი. ერთგულ მკითხველად, ცხადია, მხოლოდ ის არ იგულისხმება, ვინც მადლობით გვაესებს, არამედ ისიც, ვინც კონსტრუქციული კრიტიკით ხვდება ჩვენს ჟურნალს და ჩვენ მათი მადლიერნიც ვართ, რადგან სამართლიანი კრიტიკა ნამდვილად გვეხმარება შეცდომების გამოსწორებაში. ყველა სამართლიან შენიშვნას ჟურნალის რედაქცია მადლიერების გრძნობით ითვალისწინებს.

აღნიშნული პუბლიკაცია არის ზოგადი მიმოხილვა ბაკურიანში ჩატარებული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში რელიგიური პლურალიზმისა და სამოქალაქო განათლების პრობლემებისადმი მიძღვნილი, ერთ-ერთი მორიგი საერთაშორისო სემინარისა. ამ სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ: რუსეთის, უკრაინის, რუმინეთის, მაკედონიის, ბულგარეთისა და სხვა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წარმომადგენლები, ექსპერტები რელიგიისა და განათლების დარგში.

სემინარზე წარმოდგენილი მოხსენებები ეხებოდა იმ რელიგიურ პრობლემებს, რომელიც ტოტალიტარული სისტემის ნგრევის შემდგომ

გაჩნდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, კერძოდ კი – მაკედონიაში, ბულგარეთში, რუმინეთში, უკრაინაში და რუსეთში.

„საბაში“ გამოქვეყნებული პუბლიკაცია წარმოადგენს სემინარზე წაკითხულ მოხსენებათა მოკლე, ფრაგმენტულ შეჯამებას. იგი თავისი ფორმატის და ჟანრული სპეციფიკიდან გამომდინარე, სემინარზე წაკითხულ მოხსენებათა მოკლე ანალიზიც კი ვერ იქნება. ამიტომ მართებული იქნება, მიმოხილვის ავტორს მივაწეროთ მოხსენებებში გატარებული აზრები და პოზიციები. ხოლო შეკითხვა: თუ ვის ან რატომ ეშინიათ კათოლიკეების აღმოსავლეთ ევროპის ექსპერტის მიერ გაცემული პასუხის მოკლე პერიფრაზი, კიდევ მოხვდა პუბლიკაციაში. ცხადია ეს პასუხიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს და რუსეთს ეკუთვნის, თორემ საქართველოსთან მიმართებაში ეს კითხვა ჩვენი შემწყნარებლური ბუნებიდან და ქვეყნის ლიბერალურ-დემოკრატიული პოლიტიკიდან გამომდინარე, სრულიად შეუსაბამოდ მეჩვენება. როგორ ესახებათ ეს პრობლემა სხვებს, ეს მათი განსასჯელია. ისე რომ, აღმოსავლეთ ევროპის ექსპერტთა მიერ დახატული თავიანთი ქვეყნების რელიგიური სურათი თუ ჩვენში ვინმეს აღაშფოთებდა, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, ჩვენ ხომ ჩვენი პრობლემებიც თავზე საყრელად გვაქვს. და თან, რაც მთავარია, პრობლემათა დაძლევის გზებიც ნათქვამია ჩემს პუბლიკაციაში, ასე რომ, უიმედობა ნურავის შეიპყრობს. რაც შეეხება პუბლიკაციის ბოლოს მოყვანილ აზრს, რომ კათოლიკური უნივერსიტეტები მსოფლიოში საუკეთესოა, ეს კათოლიკეების შეფასება კი არ არის, ასე მსჯელობენ, სხვათა შორის, იუდეველებიც, ათეისტებიც და ანტიკათოლიკურად განწყობილი ფუნდამენტალისტი პროტესტანტებიც კი, და ამის შესახებ ვინც საჯაროდ განაცხადა, მე არც პირველი ვარ და, ცხადია, არც უკანასკნელი ვიქნები. ხოლო ის, რომ უნდა ვისწავლოთ და, განსაკუთრებით მათგან, ვისაც შეიძლება მოწინააღმდეგედაც ვთვლიდეთ, ესეც ჩემამდე ბევრად ადრე ერთმა ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულემ ბრძანა. სხვათა შორის, იმ პიროვნებამ რუსეთის ეკლესიას იმდენი კარგი რამ გაუკეთა, მიკვირს, აქამდე წმიდანად რატომ არ შერაცხეს. შესაძლოა ასეც მოხდეს, როდესაც რუსეთში ანტიქართული ისტერია გადაივლის.

ანტიქართულ ისტერიაზე გამახსენდა და ამ ვირუსით, რატომღაც მოსკოვის საპატრიარქოც საფუძვლიანადაა დაავადებული და „გოსდუმასთან“ ერთად უნისონში მოქმედებს. მოსკოვის საპატრიარქო დღეს მსოფლიოში ლამის ერთადერთი რეალური ძალაა, ვინც ცარისტული ველიკორუსული შოვინიზმის სტერეოტიპებიდან ვერ გამოვიდა და აშკარად უპირისპირდება კათოლიკურ სამყაროს. და ვინც მსგავს პოზიციას იზიარებს თავადაც ვერ ხვდება, როგორ ხდება რუსული ამბიციური ინტერესების უნებლიე დამცველი.

ჩემი გაოცება გამოიწვია იმან, რომ რუსი, მაკედონელი, ბულგარელი რელიგიათმცოდნეთა გამოსვლებიდან მიძღვნილმა მიმოხილვამ ესოდენი ყურადღება მიიპყრო და არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია „საბას“ იმავე ნომერში მოთავსებულ სტატიას – „ყველაზე ძვირფასი საჩუქარი“, რომელშიც მესხეთში განხორციელებულ საერთაშორისო პროექტზეა საუბარი: გიორგი ათონელის რედაქციასთან

შეჯერებული, ეფრემ II-ის მიერ 1963 წელს გამოცემული „ახალი აღთქუმის“ უნიკალური ახალი გამოცემა და ბიბლიები უსასყიდლოდ დაურიგდათ ახალციხისა და ადიგენის მკვიდრ მართლმადიდებელ და კათოლიკე მორწმუნეებს. აი, ასე გვესმის ჩვენ, საქართველოში ტოლერანტობა. ეს სტატია თავისებური პასუხია ბაკურიანში გამართული რუსი და სხვა აღმოსავლეთ ევროპელი ექსპერტების სემინარისა – „ცხარე კამათი ტოლერანტობის შესახებ“.

მე 1985 წლიდან ვკითხულობ ლექციებს და ვაქვეყნებ სტატიებს რელიგიათმცოდნეობის შესახებ და სამართლიანადაც მიმაჩნია, რომ საქართველოში ვარ პირველი, ვინც რელიგიაზე (ხაზს ვუსვამ, რომ რელიგიაზე და არა ათეიზმზე) ვკითხულობდი ლექციებს და ვბეჭდავდი სტატიებს ქართულ და უცხოურ პრესაში. ვერ ვიტყვი, რომ იმხანად ეს ადვილი იყო. მრავალი წინააღმდეგობა მხვდებოდა და რა გასაკვირადაც არ უნდა მოეჩვენოს ვინმეს, ეს წინააღმდეგობები ხელმძღვანელობის ყველაზე ქვედა საფეხურიდან მოდიოდა. წვრილფეხა ჩინოვნიკები რელიგიის პროპაგანდას მაბრალეობდნენ. 90-იანი წლებიდან იგივე, ოღონდ ტყავამოცვლილი ჩინოვნიკები ჩემს ტოლერანტულ პიზიციას იწუნებდნენ, თუმცა მე მუდამ ილია ჭავჭავაძის პოზიციას „მოყვარეს პირში უძრახე“ მიმდევარი გახლდით. სიმართლეზე, რაც უნდა კრიტიკული იყოს, თვალი არ უნდა დავხუჭოთ, პირიქით, შევძლოთ მისი გადალახვა. პრობლემები ხომ იმიტომ ჩნდება, რომ ადამიანებმა ერთიანი ძალისხმევით გამოასწორონ ისინი.

ქრისტიანთა ერთიანობა ბევრად უფრო ფასეულია, ვიდრე ცალკეული კონფესიებისა და დენომინაციების პრობლემები. უნდა გვახსოვდეს, რომ კონფესიები ღმერთს არ შეუქმნია. კონფესიებად და დენომინაციებად ამბიციურმა ადამიანებმა, სასულიერო პირებმა დაჰყვეს ქრისტეს ეკლესია. სხვათა შორის, არც მეცნიერებს და, მით უმეტეს, რელიგიათმცოდნეებს არ მიუძღვით არანაირი ბრალი პოლიკონფესიურობის გაჩენაში. რელიგიის ისტორიკოსი უბრალოდ აღრიცხავს უკვე არსებულ ფაქტს და მოგვითხრობს სინამდვილეზე და მისი ბრალი სრულიადაც არაა ის, რომ მრავალი კონფესია ან რომელიმე კონფესია მოცემულ მომენტში სხვაზე უკეთესია (უკეთესობაც ძალზე რელატიური ცნებაა). ფაქტის კონსტანტირების დროს მის აღმწერს არანაირი როლი არ მიუძღვის, გარდა იმისა, რომ საზოგადოებას გააცნოს არსებული რეალობა, რათა სოციუმმა სასიკეთო დასკვნები გააკეთოს. თუ მავანი ფოტოზე საკუთარ ნაკლს აღმოაჩენს, ეს ფოტოგრაფის დანაშაული კი არაა, ამაზე სურათის გადაღებამდე თავად ჩვენ გემართებს ზრუნვა.

და ბოლოს მსურს, ჭეშმარიტი მადლიერება გამოვხატო ყველა მკითხველის მიმართ და დავარწმუნო, რომ არანაირად არ მიფიქრია ვინმესთვის შეურაცხყოფა ან წყენა მიმეყენებინა, ეს ჩემი სტილი არაა, მაგრამ თუ სადმე ნაკლი თავს არ ფარავს, არც ეს არის ჩემი ბრალი.

თუ ვინმეს სურვილი ექნება საკუთარი მოსაზრება გამოთქვას აღნიშნულ პუბლიკაციასთან დაკავშირებით, ჟურნალი „საბა“ ყველა მსურველს სიამოვნებით დაუთმობს თავის გვერდებს.

ღმერთი იყოს თქვენი, ჩვენი და მთელი საქართველოს მფარველი.

ქრისტიანები ოტომანთა იმპერიაში და თანამედროვე თურქეთში

საგანგებო ჩანართი

VII საუკუნიდან ისლამის პროგრესული გავრცელებით მსოფლიოში დაიწყო ისლამიზაციის პროცესი, რომელიც თანდათანობით მთელს შუა აღმოსავლეთსა და ჩრდილო აფრიკის რეგიონზე გავრცელდა. 732 წელს, *წინასწარმეტყველის* სიკვდილის მომდევნო საუკუნეში, არაბული ექსპანსია აღმოსავლეთით, ანუ ქრისტიანულად უძველეს და კონსოლიდებულ ტერიტორიებზე, თავის მწვერვალს აღწევს და *პოიტერში* იბლოკება *კარლ მარტელის* ჯარის მიერ. გაცილებით ადრე, არაბული შენაერთები სამხრეთით გაემართნენ, ინდოეთში შევიდნენ და იმ რეგიონებში ახალი რელიგია შეიტანეს. *ხალიფი ომაჯადების* (661-750) და *აბასიდების* (750-1258) არაბული იმპერიის შემდეგ, – რომელთა დედაქალაქიც თავიდან *დამასკო*, ხოლო მოგვიანებით *ბაღდადი* იყო, – აღმოცენდა *თურქ-სელჩუკების ოტომანთა* იმპერია, რომლებმაც 1453 დაიპყრეს კონსტანტინოპოლი, აღმოსავლეთის რომაული იმპერია (ანუ მეორე რომი) და იქ გადაიტანეს იმპერიის რელიგიურ-პოლიტიკური ცენტრი. შემდგომში მათ ლამის მთელი ეს ზონა, მართლმადიდებლური რწმენის ბალკანეთი შემოიერთეს და 1683 წელს უშედეგოდ შემოარტყეს ალყა ქრისტიანობის ერთ-ერთ უმთავრეს დედაქალაქს, ვენას. აქედან დაიწყო ოტომანთა იმპერიის დაღმავალი ისტორია, რომელიც ისლამური რწმენით შეპყრობილ ტერიტორიათა დიდ ნაწილს მოიცავდა.

მოკლედ, “ხანგრძლივი პერიოდი” ისტორიული თვალსაზრისით, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ლოკალიზებულ (*ქრისტიანულ სიცილიის დაპყრობა X საუკუნეში და იბერიის ნახევარკუნძულისა, რაც 1492 წელს დასრულდა*), ან დროებით (*XI საუკუნიდან XIII-მდე ჯვაროსნებისა თუ ფრანკების ქვეყნები*) დამკვირდებლს, ისლამმა მყარი და ლამის შეუხრებელი ტერიტორიული ექსპანსია მოახდინა, იქამდე, რომ ქრისტიანობის მომიჯნავეც კი გახდა, ვიდრე იგი ახალ სამყაროს შეიძენდა ევროპის კონტინენტის დასავლურ და სამხრეთ ნაწილებში.

ძველი ქრისტიანობის კუთვნილი ტერიტორიების დაპყრობით, როგორც შუა აღმოსავლეთში, ასევე შუამდინარეთსა და აფრიკაში, რომელსაც ძველი დროის ოთხი საპატრიარქოდან სამი ედგა სათავეში: იერუსალიმის, ანტიოქიის და ალექსანდრიისა, ქრისტიანები თავისთავად იმ პოლიტიკურ და სოციალურ გარემოში აღმოჩნდნენ, რომელიც თავად ისლამის საძირკველზეა აგებული და ისლამური საზოგადოების შიგნით საკუთარი არსებობის ფორმას აწესრიგებს. ეს იყო განსაკუთრებული სტატუსი, რაც თავისი ძირითადი ელემენტებით ძალაში დარჩა ისლამურ ქვეყნებში XIX საუკუნემდე, როდესაც ნაციონალიზმმა, ევროპული ძალების პოლიტიკურ-კულტურული ზეგავლენით, ისლამური კულტურისა და საზოგადოების სეკულარული ქსელის რღვევა დაიწყო, კერძოდ კი ოტომანებისა, რაც განსხვავებულ რელიგიათა და ერთა შორის

თანაცხოვრებისა და “ეროვნების” სისტემაზე იყო აგებული; ამდენად, ისლამურ ქვეყნებში ქრისტიანული სათემოების აქტუალური ანალიზი იმ სტრუქტურათა განხილვას მოითხოვს, რომელთა მეშვეობითაც მეტნაკლებად გასაძლებელი გზით შესაძლებელი გახდა მუსლიმთა, ებრაელთა და ქრისტიანთა თანაცხოვრება უმმა-ს წიაღში, ანუ “ერთადერთ ჭეშმარიტ მორწმუნეთა თემში”.

ცნობილია, რომ ამ სახის პრობლემას თავიდანვე უწევდა ანგარიშს რელიგიური ხელისუფლება. ჯერ კიდევ მუჰამედმა, ისლამის ახალადმოცენებული თემის გასამართავად, მკაფიოდ ჩამოაყალიბა ის კავშირები, რაც მას უნდა ჰქონოდა იმდროინდელ არაბულ გარემოში მცხოვრებს ებრაელებთან და ქრისტიანებთან. მიუხედავად იმისა, რომ ისლამი, იუდაიზმის და ქრისტიანობის შემდეგ, საბოლოოდ დასრულებულ რელიგიად განისაზღვრა მას შემდეგ, რაც იგი ალაჰის წარგზავნილს მუჰამედს გაეცხადა, და როგორც ასეთს, სრული პრივილეგიის უფლება გააჩნდა, მას შესაფერისი ადგილი უნდა დაეთმო “თავისუფალი რელიგიის” წარმომადგენლებისთვის, ანუ ებრაელებისა და ქრისტიანებისთვის, რომელთაც შემდგომში დაემტათ *საბეები* და *ზორასტრები*. მოკლედ, “თავისუფალი რელიგიის” წევრებზე აღიარებული იურიდიული სტატუსით, “დაცულებს” უფლება ჰქონდათ საკუთარ რელიგიას გაჰყოლოდნენ და მისი ტრადიციები დაეცვათ. თუმცა, ამგვარი პირობა რამდენიმე იურიდიულ, რელიგიურ და სოციალურ შეზღუდვებსაც გულისხმობდა, ანუ ეს იყო ერთგვარი ბეგარა, პრო-კაპიტალი, *ჟიზია*. იმ ეპოქაში, როდესაც ქრისტიანულ ევროპაში რელიგიური შეუწყნარებლობის ფორმები ვლინდებოდა, როგორც ქრისტიანთა მიმართებაში, რომლებიც ქრისტიანული საზოგადოებიდან ირიყებოდნენ, ასევე ქრისტიანების და ერეტიკოსების წინააღმდეგ, ისლამი ხალიფები, თავიანთ ძალაუფლებას დაქვემდებარებული “თანამცხოვრები” ქრისტიანებისა და ებრაელების მიმართ აშკარად ახორციელებდნენ ტოლერანტულობას, რასაც გარკვეული იურიდიულად სანქციები მაინც გააჩნდა.

ოტომანთა იმპერია ძირითადად მუსლიმებით დასახლებულ ქვეყნებში

ქრისტიანების მდგომარეობა ძირითადად მუსლიმებით დასახლებულ ქვეყნებში აშკარად გაუმჯობესდა თურქ-სელჩუკების ბატონობისას, რაც დროთა მსვლელობაში შესამჩნევ დემოგრაფიულ ზრდასა და ქრისტიანული თემის პროდუქტიულ და კულტურულ საქმიანობაში აისახა. ოტომანთა იმპერიამ, ადმინისტრაციული კუთხით აითვისა *მილლეტ* (*ნაციები*) სისტემა, რის მიხედვითაც იურიდიულ აღიარებას იძენდა იმპერიაში მყოფი სხვადასხვა კონფესიური კომპონენტები. ეს ერთგვარი სუბ-სახელწიფო იყო, საზღვრებგარეშე, რომელიც განისაზღვრებოდა არა ტერიტორიით, არამედ “ზოგჯერ დიასპორიით”. შიდა სამოქალაქო საქმეებში ავტონომია ინტეგრირებული იყო, თუმცა გამოკვეთილი იდენტურობა რელიგიური, ეთნიკური, ლინგვისტური კუთხით საკამათოდ არ ხდოდა ოტომანების გარემოსთან შედარებით ძლიერ კულტურულ სიმბიოზებს. თავდაპირველად

აღიარებული იქნა მილლეტ-ის ოთხი ფორმა: მუსლიმური (ძირითადი და დომინანტური), ებრაული, ბერძნულ-მართლმადიდებლური და სომხური. ევროპული ქვეყნების ზეწოლის შედეგად XIX საუკუნეში, მილლეტ-ის რიცხვი გაიზარდა და აღიარება შეიძინა აღმოსავლური წესის კათოლიკეთა სხვადასხვა სათემოებმა, რომელთაც სულთნის კარზე წარმომოდგენელი სურდათ. მოკლედ, ყველა ეს იმპერიის ქვეშევრდომი მილლეტ-ის წევრები იყვნენ და ეს წარმოდგენილი იყო აღიარებული უმთავრესი რელიგიური ხელისუფლების მიერ უზენაესის კარზე, რომელსაც არა მარტო ცალკეულ ნაციათა რელიგიური ინტერესების წარმომადგენლობითი როლი ეჭირა, არამედ პოლიტიკური ხასიათისა, და კერძოდ, ადმინისტრაციული. აღსანიშნავია, რომ მილლეტ-ის სისტემა “ინოვაციური ფორმულირებით იღებდა და გადაცემდა შუა აღმოსავლურ კულტურას ეროვნების იდენტიფიკაციას რელიგიური კონფესიის ნიშნით”. ბუნებრივია, ყველა მილლეტ-ი ვერ იქნებოდა თანაბარი დონის. ისლამი მიჩნეული იყო ძირითადად და სხვებისგან განსხვავებით მას არ ეხებოდა იურიდიული და რელიგიური სახის შეზღუდვები. მხოლოდ 1839 წლის, და მოგვიანებით 1856 წლის რეფორმებით, ოტომანთა სახელმწიფოს მოდერნიზაციის კონტექსტში, ქრისტიანული ევროპული ძალების ზეგავლენით გაცხადდა ყველა მილლეტ-ის იურიდიული თანასწორობა და გაუქმდა უძველესი დისკრიმინაციის დიდი ნაწილი, რაც ქრისტიანებთან და ებრაელებთან მიმართებაში ვლინდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ღონისძიებების განხორციელება მკვეთრად იქნა დაგმობილი იმპერიის პერიფერიულ ზონაში.

ოტომანთა იმპერიის განვითარებაზე XVIII-XIX სკ-ში გავლენა მოახდინა დიდი ევროპული ძალების მიერ გამოყენებულმა სტრატეგიებმა, რომლებიც ხშირად ერთმანეთს შორის კონკურენციაში მოდიოდნენ და მიზნად ჰქონდათ იმპერიასთან კომერციული და პოლიტიკური კავშირების გაღრმავება. იმ პერიოდში “ქრისტიანული” ძალები საკუთარი მიზნებისთვის იყენებდნენ მილლეტ-ის ინსტიტუტს, კერძოდ, ისინი თავად კისრულობდნენ ცენტრალურ ძალებთან კავშირში ქრისტიანების დაცვის როლს. ამგვარად, ქრისტიანული სათემოები, ევროპასთან ამ ფართო კავშირების წყალობით, კონტაქტში შედიოდნენ ახალ სამყაროსთან: დაიწვეს ევროპული ენების შესწავლა, ენთუზიაზმით იღებდნენ როგორც ლიბერალურ, ასევე სოციალისტური სახის პოლიტიკურ დოქტრინებს, კავშირს ამყარებდნენ ჩრდილო შუამდინარეთის სანაპიროს ქვეყნებთან და იუმჯობესებდნენ სოციალურ და ეკონომიურ მდგომარეობას. კომერციული და თავისუფალი პროფესიების მეშვეობით ახალმა კულტურულმა გახსნილობამ ზოგადად პოლიტიკური ძვრებიც გამოიწვია: ქრისტიანები იყვნენ პირველები, ვინც უზენაეს კარს მოსთხოვეს სტრუქტურული სახის რეფორმები სახელმწიფო ორგანიზაციებში, რომელიც დაემყარებოდა სოციალურ თანასწორობის და ლიბერალურ პრინციპებს. ამგვარ კონტექსტში ევროპული, გინდ კათოლიკე და გინდ პროტესტანტი მისიონერების ჩასვლამ, რომლებმაც გახსნეს სკოლები და კოლეჯები, ქვეყნის მნიშვნელოვან ცენტრებში დააარსეს ჰოსპიტლები, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქრისტიანული თემების კულტურულ განვითარებაში და

მათი ყოფითი პირობების შეცვლაში. გარკვეული სახის კვლევები აჩვენებს, რომ ოტომანთა იმპერიაში XIX ს.კ-ში ქრისტიანული სათემოებს საგანმანათლებლო დონე ბევრად აღემატებოდა მუსლიმებისა და თვით ებრაელებისას. ოტომანთა იმპერიის საბოლოო ფაზა, რაღა თქმა უნდა, იმედებს სახავდა აღმოსავლურ ქრისტიანულ სათემოში. ისინი ხომ ცივილურ, პოლიტიკური და ეკონომიური კუთხით უკვე ფლობდნენ გარკვეულ ემანსიპაციას. ამგვარი შედარებითი კეთილდღეობა დემოგრაფიული კუთხითაც აისახა. 1914 წელს, დიდი მსოფლიო ომის განაღებისას, ქრისტიანები დაახლოებით იმპერიის მოსახლეობის 24% შეადგენდნენ, ამას ემატებოდა 30% ამჟამინდელი სირიის, ლიბანის, იორდანის და პალესტინის რეგიონებში, სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ სომხების გენოციდიდან (და არა მხოლოდ მათი) ეს რიცხვი საგრძობლად დაეცა. I მსოფლიო ომის დასრულების და ცენტრალური იმპერიის დამხობის შემდეგ, რომელთა გვერდით იბრძოდნენ ასევე ოტომანები, რის გამოც მათაც იწვნის მარცხი, შუა აღმოსავლეთში ახალი პოლიტიკური წესრიგი გაჩნდა. ოტომანთა იმპერია საბოლოოდ დაიშალა და დაიწყო ახალი ნაციონალური ფორმირების პროცესი. თურქეთი იძენს მკვეთრად განსაზღვრულ გეოპოლიტიკურ კონფიგურაციას, ხოლო არაბული რეგიონები, რომლებიც იმპერიის ნაწილს შეადგენდნენ, დაექვემდებარენ ევროპულ “მანდატს”, კერძოდ ინგლისსა და საფრანგეთს და საბოლოოდ სრულ პოლიტიკურ ავტონომიას მიაღწიეს, რაც მოხდა ორმოციან წლებში, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. ამ მომენტიდან სრულიად ახლებურ, ადრინდელზე ნაკლებ სახარბიელოში მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ქრისტიანული სათემოები. თურქეთში, თურქულ იდენტურობაზე დამყარებული ნაციონალური სახელმწიფოს საკონსტიტუციო პროცესი ახალი სახელმწიფოდან ქრისტიანების განდევნას შეუდგა. ამ შემთხვევაში, ეროვნების კუთხით იდენტიფიკაცია კონფესიურ ნიშანთან ერთად, *მილლეტ-ის* სისტემის მიხედვით, თურქულ იდენტურობას მუსლიმებთან აკავშირებს, სხვა რელიგიათა დისკრიმინაციას ახდენს და მათ ახალი სახელმწიფოს უცხო ნაწილებად მიიჩნევს.

1908 წლიდან ხელისუფლებაში მოსულ “ახალგაზრდა თურქების” იდეოლოგია ემყარებოდა გარდამავალ ნაციონალიზმს, რომელიც ლიბერალური ხასიათის დასავლურ მოდელს ემხრობოდა. დროთა განმავლობაში აშკარად ავტორიტეტულ ნიშან-თვისებები შეიძინა. ახალი მთავრობა მალე შევიდა კონფლიქტში სომხური პოლიტიკის რამდენიმე სექტორთან, კერძოდ, სიცილური იდეებით შეპყრობილებთან, რომლებიც ითხოვდნენ მეტწილად სომხებით დასახლებული რეგიონების დამოუკიდებლობას ან ავტონომიას, როგორც ეს მიიღეს სხვა “ნაციებმა”. ახლა, როდესაც უკვე შესაძლებელი გახდა არაბული ბალკანეთის გარემოსგან დაცილება, რადგანაც იგი მჭიდროდ არ ყოფილა დაკავშირებული ახლადდამკვიდრებულ პოლიტიკურ ფორმასთან, ანატოლიის ერთი ნაწილის ავტონომია, და მეტადრე სომხურისა, ეროვნული ტერიტორიის ამპუტაციის ტოლფასი იყო (რაც ისედაც საკმაოდ იყო შემცირებული), მით უფრო მაშინ, როცა სომხურ ძალას

მხარს უჭერდა რუსეთი, რომელსაც გამიზნული ჰქონდა თავისი ტერიტორიების გავრცობა თურქეთის ხარჯზე. სომხური სათემო რომელიც ტრადიციულად *უზენაესი კარის* ყველაზე ერთგული *მილლეტ*-ად იყო აღიარებული, გაერთიანებული თურქული სახელმწიფოს შექმნაში დიდ საფრთხედ, ოტომანთა საუკუნოვანი მოწინააღმდეგის, რუსეთის სამსახურში ჩამდგარ მეხუთე კოლონიად მიიჩნეეს.

“სომხური მუქარის“ პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრა ნაციონალურ მთავრობას იმ საომარი პირობებიდან გადაეცა, რაშინ ევროპა ერთგებოდა (1915წ). რეპრესიები სომხების წინააღმდეგ განხორციელდა როგორც ადგილობრივი ჯარების მიერ, ასევე ქრისტიანული თემის ტრადიციული მოქიშპეების, ქურთების და ჩირკასების დახმარებით. მათ მოდლატე ქრისტიანების წინააღმდეგ მოუწოდებდნენ წმიდა ომისკენ - *ჯიჰადისკენ*. *ჯიჰადზე* და რელიგიური მოტივაციებზე კურსის აღება თურქეთის მთავრობის მიერ, რომელიც საერო ხასიათისა იყო და გულგრილობას იჩენდა რელიგიური სახის პრობლემატიკაზე, წმიდა წყლის იარაღი და წინასწარ მოფიქრებული იყო იმ მიზნით, რომ მუსლიმები ქრისტიანების წინააღმდეგ აემხედრებინათ, რადგანაც მათ ახალი “პანთურქული” წესრიგის მტრებად თვლიდნენ. ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ სომხების წინააღმდეგ გალაშქრებამ მილიონნახევარი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

სანამ ევროპული კანცელარიები გულგრილობას იჩენდნენ და მიმდინარე ომის განვითარებით იყვნენ დაკავებული, მხოლოდ ალენსის სისტემაზე ფიქრით, XX საუკუნის ისტორიაში ერთი-ერთი ყველაზე ტრაგიკული სისხლისღვრა, რაც სამწუხაროდ კარგა ხნის მანძილზე გაუმედავებელი თუ მიჩუმათებული იყო. თურქეთში ეროვნული და სახელმწიფოს საკონსტიტუციო პროცესი დაიწყო, პირველ რიგში სხვადასხვა რელიგიური და ეთნიკურ ჯგუფებს შორის თანაცხოვრების იმ ძველი სისტემის რღვევით, რაც ასე ხანგრძლივად ახასიათებდა ოტომანთა ბატონობას, ამგვარი მოდელი პოლიტიკური *ელიტის* აზრით, რომლებმაც განათლება ევროპის დედაქალაქების უნივერსიტეტებში მიიღეს, ნაციონალისტურ იდეოლოგიასთან და ლიბერალურ იდეებთან შეურიგებელი იყო. მოკლედ, თანამედროვე თურქეთის ახალი საზღვრები, მიუხედავად მისი დამაარსებლების განცხდებებისა, ეთნიკურ-რელიგიური კრიტერიუმებით იყო სავსე და არა ამ ტერიტორიებზე საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული ეროვნულ-კულტურული იდენტურობის ბაზაზე. ასე იბადებოდა ახალი სახელმწიფო, გაწმენდილი არა-თურქული, არამუსლიმი ელემენტებისაგან: სომხების ხოცვა-ჟლეტა, დეპორტაცია, რაც ოტომანებმაც გაამართლეს, როგორც საშუალება სომეხთა დამოუკიდებლობის პრეტენზიების ჩასახშობად, ნაყოფი იყო ძველი იმპერიის შიგნით ოტომანთა ნაციონალისტური იდეებისა, რომელმაც ოდესღაც გამოსცადა კულტურულ-რელიგიური პლურალიზმის პატივისცემა და ტოლერანტობა.

ათათურქიტან ერდოგანამდე: თანამედროვე თურქეთი

დღევანდელი თურქეთი საერო რესპუბლიკას წარმოადგენს, რომელიც კონსტიტუციით აცხადებს ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობას, განურჩევლად აზრისა თუ რელიგიისა და საზემოდ აღგენს კულტის, რელიგიისა და აზროვნების თავისუფლებას. დამკვირვებლები შენიშნავენ, რომ იგი არსებითად განსხვავდება არამუსლიმური ქვეყნებიდან, სადაც პოლიტიკურ და რელიგიურ სფეროებს შორის კავშირი იმდენად მჭიდროა, რომ ერთმანეთში არეულა, ხოლო თურქული საერისკაცო ქვეყანა ახლო წარსულში გაკეთებული ძალისხმევების მიუხედავად, რათა გადმოეღო სათაყვანებელი ფრანგული მოდელი, ცოტა რამ საერთო გააჩნია ილუმინისტურ და ლიბერალურ მოძღვრებასთან, ანუ ე.წ. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გათიშვასთან. ისლამში არ არსებობს გათიშვა პოლიტიკური და რელიგიური სფეროს შორის; ორი რეალობა ერთმანეთში ცხოვრობს. იგი “მისი დამაარსებლის ეპოქიდანვე იყო სახელმწიფო, ისე რომ იდენტურობა რელიგიასა და ძალაუფლებას შორის წარუშლელად აისახა მორწმუნეთა ცხოვრებაში და მეხსიერებაში საკრალური ტექსტებიდან, ისტორიიდან, გამოცდილებიდან”; ქრისტიანულ სამყაროში კი არსებობს ორი ხელისუფლება “ღვთისა და კეისრისა”, ისინი შეიძლება ხან გათიშული იყოს ხანაც გაერთიანებული, ხან ჰარმონიაში, ხანაც კონფლიქტში, როგორც ეს ხშირად ყოფილა ისტორიაში, მაგრამ ყოველთვის რჩება ორი, ანუ ერთმანეთისაგან განსხვავებული და ავტონომიური, თავისივე კომპეტენციის სფეროთი.

ქემალ ათათურქი (1881-1938), თანამედროვე თურქეთის დამფუძნებელი, თვლიდა რომ სახელმწიფოს საეროობა არ ნიშნავს ორი ძალაუფლების კომპეტენციის სფეროთა განსხვავებას და გაყოფას, ევროპული მოდელის მსგავსად, არამედ საზოგადოებიდან უბრალოდ რელიგიის გაქრობას და სახელმწიფოზე საკულტო სფეროს დაქვემდებარებას; და მართლაც, თურქეთში სახელმწიფოს საეროობის დასაცავად შექმნილი რელიგიურ საქმეთა სამინისტრო უშუალოდ განკარგავს თურქეთში არსებულ 75.000 მეჩეთს, რომლებშიც მუშაობს 100.000-მდე სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებული მოხელე და გააჩნია ინდუსტრიის სამინისტროზე მაღალი ბიუჯეტი. მოკლედ, თურქეთში, სახელმწიფო, როგორც ასევე სხვა დანარჩენ ისლამურ ქვეყანაში, რელიგიური მხრიდან უკანასკნელი ინსტანციაა; ეს სამთავრობო ხელისუფლება ავიწროებს და ზოგჯერ ახშობს რელიგიური ხასიათის მანიფესტაციებს, მათ საერო სახელმწიფოსათვის მიუღებლად თვლის: მაგალითად, ჩადრის აკრძალვა იმ ქალბატონებზე, რომლებიც უნივერსიტეტში სწავლობენ ან საზოგადოებრივ სტრუქტურებში მოღვაწეობენ.

მაგრამ პოლიტიკური სფეროდან განდევნილი თურქული ისლამი ცოცხლობს და იმედებს ისახავს სამოქალაქო საზოგადოებაში: ამ უკანასკნელ ათწლეულებში აღმოცენებულ *სუფეების* მრავალრიცხოვან თანასამშობებში და ფილიოსლამიურ პოლიტიკურ მოძრაობებში. ეს კომპლექსური ისლამური მოძრაობა თავისთავად სხვადასხვა ტენდეციებს მოიცავს, როგორც ფუნდამენტალისტურს, ყველა ისლამურ ქვეყანაში

არსებულს, რომლებიც ქადაგებენ ჯიჰადს “ათეისტური და გახრწნილი“ დასავლეთის წინააღმდეგ, ასევე ზომიერს, გულისხმიერს თანამედროვეებასთან დიალოგზე და დასავლეთთან მეგობრული კავშირებით დაინტერესებულს. თუმცა ამ მოძრაობებს საერთო ელემენტებიც გააჩნიათ: პოზიტიური დამოკიდებულება თურქული სახელმწიფოს ისლამური და ოტომანური წარსულისადმი, ხოლო ქემალისტები ქვეყნის პრესლამურ წარსულს ემხრობიან, კერძოდ, უძველეს *ჰიტიტურ* კულტურას, არაბულთან შედარებით (რომელსაც უკიდურესად შეუვალად მიიჩნევენ რელიგიური ტექსტების ინტერპრეტაციების დროს) თურქულ ისლამს უფრო მეტ ღირსებას ანიჭებენ. თურქების მოსახლეობის უმრავლესობა სუნიტების ისლამის რწმენას აღიარებს, სინამდვილეში, ალვეიტები, რომლებიც შიიტი ალაჟნიტების ერთ განშტოებას წარმოადგენს, მოსახლეობის 20% მეტია და “ზომიერ” ისლამს მისდევენ, რაც ზოგიერთის აზრით ერესია, ყოველ შემთხვევაში ახალი ფუნდამენტალური ტენდენციებიდან გადახვევაა; ისინი ჩადრს არ ახურავენ ქალებს, არიან მონოგამები, არ ლოცულობენ მეჩეთში და არ მიდიან პულიგრიმებად მექაში, არ იცავენ მორწმუნე მუსლიმის ყოველდღიურ ხუთ ცნებას და რამადანის მარხვას უნაცვლებენ აშურას თავშეკავებას. პოლიტიკურად ისინი არიან ფილოქემალისტები (ქემალ ათათურისაგან).

საერთო სახელმწიფოებრიობას, რასაც მკაცრად მისდევდა ქემალისტების მთავრობა, ცივი ომის დროს რელიგიებთან მიმართებაში ყველაზე ტოლერანტული პოლიტიკური ხაზი მოჰყვა. ქემალისტების მთავრობის უძღურების გამო, რაც გამოიხატა კომუნისტური და სეპარატისტური განწყობის ქურთების ტერორიზმთან დაპირისპირებაში, “სახელმწიფო გადატრიალების” შემდეგ 1980 წელს, ხელისუფლებამ, აშშ-სა და ქვეყნის მილიტარული ძალების რჩევა-დარიგებით რელიგიური პერსონალიტეტი მიიღო *სუფების* გარემოდან - *თურგუთ ოზალი*, რომელიც ხალხის მხარდაჭერით სარგებლობდა. იმ პერიოდში სუნიტი მუსლიმების საერთო რწმენის მოწოდება ერთადერთ გზად მიჩნდა ქურთული სეპარატიზმის კონტროლზე ასაყვანად. ოზალის ნაადრევი გარდაცვალება გზას უხსნის პოლიტიკურ და სოციალურ არასტაბილურობას, ეს მაშინ, როცა ქვეყანა თანხმობას იკრებდა სუინისტური ისლამის იღებით ნაკვები *რეფაბის* (რაც ნიშნავს *კეთილდღეობას*) პარტიით, რომელსაც *ნეჩმეტინ ერბაკანი* მეთაურობდა. მან 1995 წლის არჩევნებზე ხმების უმეტესობა მიიღო: პირველად თურქეთის ისტორიაში გაიმარჯვა რელიგიური განწყობის პარტიამ და ქვეყნის მმართველი გახდა.

ახალი პლიტიკური ხაზი, რასაც ერბაკანი მიუყვებოდა, შიდა პოლიტიკაში აშკარად ანტიქემალისტური, ხოლო საგარეო პოლიტიკაში ანტი-ამერიკული და ანტი-ისრაელიანური, მხარდაჭერას ვერ პოულობს ქვეყნის სამხედრო ელიტაში. ამასთანავე, ძალიან აკრიტიკებდნენ იმ თანადგომას, რაც ახალმა პრეზიდენტმა აღმოუჩინა არაბ ფუნდამენტალისტებს, კერძოდ “მუსლიმ ძმებს”. ქემალისტი მილიტარები რეაქციას გამოიხატავდნენ ერბაკანის ფილოისლამური პოლიტიკის მიმართ და 1997 წლის 28 თებერვალს მათ “მსუბუქი” გადატრიალება მოაწყვეს.

მთავრობის მეთაური იძულებული გახდა გამოეშვა ანტირელიგიური კანონები, კანონგარეშედ გამოეცხადებინა თავისი პარტია და მიეღო რეპრესიული ღონისძიებები პოლიტიკური ოპონენტების მიმართ. ანტირელიგიურ კამპანიას, რასაც მოჰყვა პუტჩი და ფუნდამენტალისტი ისლამური მოძრაობების მეთაურთა დაპატიმრებები, თურქეთის მოსახლეობიდან მხარდაჭერა ვერ მიიღო. ისლამური მოძრაობის შიგნით ნელ-ნელა ორი გზა იკვეთებოდა: “ძველი”, რაც კავშირში იყო ერბაკანთან და არაბ ფუნდამენტალისტებთან, კერძოდ, ირანულთან და “ახალგაზრდული”, ისტამბულის ხარიზმატი მერის *ტაიპ ერდოგანთან* კავშირში. უკვე სახალხო მხარდაჭერით მომაგრებული ისლამური მოძრაობა, რომელსაც შეგნებული ჰქონდა, რომ არაბულ ისლამურ სამყაროში ცოცხალ ძალას წარმოადგენდა, 2002 წელს ორი პარტიით წარდგა არჩევნებზე, ერბაკანის *საადეთით* (ბედნიერება) და ერდოგანის *კალკინმა* (კპ სამართალი და განვითარება), რომელიც საგარეო პოლიტიკაში ემხრობოდა ამერიკასთან ალენსს, თვით ისლამური ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაშიც, და ითხოვდა თურქეთის ევროკავშირში შესვლას. კპ-მ ხმების უმრავლესობით და პარლამენტში ადგილების სრული შევსებით შეუდგა ქვეყნის მართვას. მან მაშინვე განახორციელა საკანონმდებლო რეფორმები, რამაც ნება დართო თავის ლიდერს ერდოგანს პოლიტიკურ ცხოვრებას დაბრუნებოდა და გამხდარიყო პრემიერ მინისტრი, სწორედ მაშინ, როდესაც პარლამენტს კენჭი უნდა ეყარა აშშ-ს მოთხოვნაზე, უფლება მიეცათ მათთვის თურქეთის ტერიტორიის გავლით გაეყვანა თავისი ჯარები. ეს მოთხოვნა სამჯერ უხეშად იქნა უკუგდებული. რამდენიმე დღის შემდეგ ერდოგანმა ამერიკელებს ნება დართო საჰაერო სივრცის გამოყენებისა და არა სახმელეთო გზისა. ასე დაიწყო ვაშინგტონთან კავშირების აღდგენა. დასავლეთი თვლის, რომ კპ საინტერესო ექვეპერიმენტია იმ მოძრაობიდან, ისლამის წიაღში რომ დაიბადა და *სუფების* იდეებით გამოიკვება, რაც ნაწილობრივ განსხვავებული არაბულისა და ამავე დროს ფილოდასავლური დემოკრატიულ პარტიასაც წარმოადგენს. პარტია, რომელზეც ფუნდამენტალისტებისაგან უკიდურესად დაშინებულ “ქრისტიანულ” დასავლეთს შეუძლია დაეყრდნოს და ისლამურ სამყაროში შექმნას საერთო სივრცე საერთაშორისო პოლიტიკის საპრობლემო თემებზე სასაუბროდ.

ისლამი ფუნდამენტალისტების აზრით, თურქული მოდელი რეალურად ყველაზე საშიში მტერია, ამიტომაც გასაგებია მათი სურვილი რომ მოსპო იგი, ქნმიან ისეთ თავდაუცველობის ატმოსფეროს, რაც თურქ მლიტარებს აიძულებს ამ ექსპერიმენტს სახელმწიფო გადატრიალებით მოუღონ ბოლო, როგორც წინა პრეცედენტებს. *ერდოგანის* მოდელი მართლაც ქმნის საფრთხეს, თურქეთს გარეთ პროზელიტიზმის გარეთაც გავრცელებით, და ისინი, ვისაც არ სურს ისლამსა და დასავლეთს შორის დიალოგი, ამას საშინელ ბოროტებად აღიქვამენ. იგი აჩვენებს, რომ ერთი და იგივე კატეგორიაში თავმოყრა ფუნდამენტალიზმისა, ისლამის პოლიტიკის ყველა ფორმისა, ერდოგანიდან ბინ ლადენამდე, არასწორი

ოპერაციაა, რაც საბოლოოდ ტერორისტების – “ცივილიზაციის შეჯახების” მოსურნეთა წისქვილზე ასხამს წყალს.

კათოლიკეები თურქეთში

თურქეთი 1987 წელს პირველად ითხოვს ევროპის საბჭოში შესვლას, აცხადებდა რომ ცნობდა დასავლურ ღირებულებებს, მთლიანად იღებდა პოლიტიკურ-ეკონომიური ლიბერალიზმის პრინციპებს და სურდა გამხდარიყო ხიდი ისლამურ და დასავლურ სამყაროს შორის. უკანასკნელ ხანებში მან ბევრი იმუშავა, რათა მოეხდინა საკუთარი შინაგანი კანონმდებლობას შეეფარდებინა საერთაშორისო საკრებულოს მიერ დადგენილ ძირითად პრინციპებთან ადამიანის უფლებების და მცირეწლოვანთა დაცვის საკითხებში. ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ზოგიერთი დამკვირვებელი თვლის, რომ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, მხედველობაში იღებენ, რომ ევროპული კულტურა და საზოგადოება დღეს ძალზე მგრძობიარეა ამ თემებისადმი.

ყოველ შემთხვევაში, 2005წ. მოყოლებული, თურქეთი ევროკავშირში შესვლის კანდიდატია, რაც სისრულეში მოვა ხანგრძლივი დროის მერე (საუბარია 10წელზე) და კავშირის ქვეყნების მხრიდან სერიოზულ და საპასუხისმგებლო გამოცდის შემდეგ, რასაც შესასრულებლად სთხოვენ კანდიდატ ქვეყანას სხვადასხვა მნიშვნელოვანი იურიდიულ, პოლიტიკურ, ეკონომიურ და სოციალური ხასიათის საკითხებში.

ყველაზე საკამათო საკითხი რელიგიურ უმცირესობათა დაცვის თემაა, განსაკუთრებით ქრისტიანებისა, რომლებიც ამ ქვეყანაში ცხოვრობენ (150.000-მდე) და გრძნობენ რომ უფლებააყრილნი არიან და ხშირად მუქარის სამიზნე ფანატი ფუნდამენტალისტების მხრიდან. ამის მაგალითია, იტალიელი კათოლიკე მღვდელის ანდრეა სანტორის მკვლელობა გასული წლის 5 თებერვალს, როდესაც იგი ტრაპიზონთან თავის პატარა ეკლესიაში ღოცულობდა. მუქარა გაისმის ასევე სხვა კათოლიკე მღვდლების მიმართ, რომლებიც თურქეთში მოღვაწეობენ, ისინი დრამატულად აყენებენ ისლამურ ქვეყანაში რელიგიური თავისუფლების დაცვის პრობლემას.

თურქეთი, კიდევ რომ აღიარებდეს რელიგიურ თავისუფლებას, როგორც საერო ქვეყნის ერთ-ერთ ფუნდამენტს, ამ თავისუფლების გამოვლენა არამუსლიმი რელიგიური უმცირესობისათვის ნიშნავს იძულებებს და პირობებზე დამორჩილებას. ლოზანის 1923 წლის 24 ივლისის ხელშეკრულებით, მხოლოდ ბერძნულ-ორთოდოქსული, სომხური და ებრაული სათემოები არიან აღიარებულნი სახელმწიფოს მიერ, როგორც “დაშვებული კონფესიები” და ამიტომ განსაკუთრებული იურიდიული სტატუსით სარგებლობენ, ხოლო სხვა ქრისტიანული კონფესიები, მათ შორის კათოლიკურიც, დისკრიმინაციის საგანია და საკულტო შეზღუდვებს განიცდის. რაც შეეხება ხელშეკრულებას, მისი მესამე განყოფილება მთლიანად ეძღვნება “უმცირესობათა დაცვას” და რომ მისი პირობები არა მხოლოდ ხელმომწერი ქვეყნების გარანტიებს ,

არამედ ერთა ლიგასაც. 37-ე და 45-ე თავი განსაკუთრებით იძლევიან გარანტიას “არამუსლიმი უმცირესობის” სრულ რელიგიურ თავისუფლებაზე. თუმცა თურქეთის მთავრობა ამ თავებს ყოველთვის შეზღუდული ფორმით ასრულებდა. სინამდვილეში, ისინი ხელშეკრულების მიხედვით, რელიგიურ უმცირესობად აღიარებდნენ მხოლოდ მათ, რომლებიც ოტომანთა იმპერიისას ასეთებად იყვნენ აღიარებულნი, ანუ როგორც უკვე ითქვა, სომხური, ბერძნულ-ორთოდოქსული და ებრაელები. ამდენად, თურქეთის რესპუბლიკა სხვა რელიგიურ უმცირესობას (ქალდეველთა, სირიულ-კათოლიკური, სირიულ-ორთოდოქსული, ლათინური, პროტესტანტები) ცნობს “უცხოებად”, და აქედან გამომდინარე, ლოზანის ხელშეკრულების პირობებიდან დაუცველად. ასეთი ინტერპრეტაცია მკვეთრად იქნა დაგმობილი არა მხოლოდ გარიყული რელიგიური თემების წარმომადგენლებმა, არამედ საერთაშორისო ორგანოებმა, ადამიანის უფლებათა დაცვის გაერთიანებული ერების კომისიამ.

კათოლიკე ეკლესია თურქეთში პატარა თემისგან შედგება, 40.000-მდე მორწმუნით და ლათინური წესის სამი ეპარქია გააჩნია: სმირნის არქიეპარქია (1.350 მორწმუნე), ისტამბულის სამოციქულო ვიკარიატი (15.000 მორწმუნით) და ანატოლიის სამოციქულო ვიკარიატი (4.550 მორწმუნით). ამას ემატება აღმოსავლური წესის საკრებულოები: სტამბულის არქიეპარქია კათოლიკე სომხებისთვის (3.670 მორწმუნით) და ქალდეველი დიარბეკირის (5.993 მორწმუნით) და სირიელ კათოლიკეების სამოციქულო ვიკარიატი (2.155 მორწმუნით). ხშირად საუბარია “დანაწევრებულ” საკრებულებზე, რომლებიც ძალზე ფართო ტერიტორიაზე ცხოვრობენ; ეს სიტუაცია აფერხებს მწყემსებს შორის თანხმობას სულიერი მოძღვრებს, სასულიერო პირებსა და ეპისკოპოსებს შორის საერთო პასტორალური სტრატეგიის შემუშავებაზე: ეს ამ პატარა, მაგრამ სიცოცხლის სავსე თურქული კათოლიკური სათემოს სისუსტეზე მიანიშნებს. კათოლიკე ეკლესია, როგორც სახელმწიფოსაგან არაღიარებული კონფესია, გარკვეულ შეზღუდვებს განიცდის, განსაკუთრებით კი პასტორალური მსახურების მხრივ, ამდენად იგი დისკრიმინაციის ობიექტია. ამის შედეგები ადვილად მისახვედრია: კათოლიკური სტრუქტურები – ეპარქია, საკრებულო, რელიგიური ინსტიტუტები – არ სარგებლობენ იურიდიული აღიარებით, რის გამოც სასულიერო პირები არ არიან მოხსენებული საკულტო მსახურებში, ხოლო ეროვნებით არათურქები განსაკუთრებულ რეჟიმში უნდა იყვნენ, თუკი საცხოვრებელი ნებართვის მიღება სურთ. კათოლიკეებს, გარდა ამისა, არ შეუძლიათ ახალი ეკლესიის ან სამღვდელოებისთვის რაიმე ფორმაციული სახის შენობა ააგონ: ეს ართულებს სულიერი მოძღვრების მუშაობას, და ვნებას აყენებს თურქულ კათოლიკურ სათემოებს, რაც ხშირად ყოფილა ისლამური ფუნდამენტალისტების ძალადობისა და შეუწყნარებლობის სამიზნე, რამეთუ მათ თვლიან გამცემლებად და დასავლეთი ჯაშუშებად. ცხადია, ვერ ვისაუბრებთ კათოლიკეების დევნაზე, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ გაუსაძლისია მათი მდგომარეობა და ქრისტიანების მზარდი რიცხვი იძულებულია დატოვოს თურქეთი.

ეს ვითარება წმიდა საყდარმა ამ უკანასკნელ წლებში მრავალგზის გააპროტესტა თურქეთის მთავრობასთან, დაგმო კათოლიკების და სხვა ქრისტიანულ უმცირესობის წინაშე ჩადენილი დისკრიმინაცია და მოითხოვა იმ რელიგიური თავისუფლების პრინციპის სრული გააქტიურება, რაც საერთაშორისო კონვენციებით დაიდო. საგარეო საქმეთა სამინისტრო, მაგალითად, აცხადებდა, რომ თურქეთში ყველა რელიგია თანაბარუფლებიანია კანონის მიერ და წმიდა საყდარს არ შეუძლია რაიმე პრივილეგიები მოითხოვოს კათოლიკებისთვის. ამგვარ განცხადებებზე ჯეროვანი პასუხი გაიცა გასული წლის ნოემბერს ევროკომისიის მიერ გაკეთებულ საანგარიშო მოხსენებაში, სადაც ღიად არის ნათქვამი, რომ თურქეთში “არაისლამური რელიგიური საკრებულოები მოკლებულნი არიან იურიდიულ სტატუსს”, განიცდიან შევიწროებებს კერძო მესაკუთრეობის საკითხებში, კერძოდ კი ფონდების მართვაში და ადგილზე ვერ ამზადებენ საკუთარ სამღვდელეობას.

სამწუხაროდ პროცესში მყოფი რეფორმები ან სულაც თურქეთის ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებული განცხადებები არ მეტყველებენ რელიგიური თავისუფლების პრინციპის სრულ გააქტიურებაზე – თითქოსდა ამ საკითხზე არც არაფერი იყოს ნათქვამი – უბრალოდ იმით იფარგლებიან, რომ აღიარებენ ყველა რელიგიური კონფესიის მესაკუთრულ უფლებას თავიანთ ფონდებზე. ისეთი შთაბეჭდილება იქნება, რომ ევროპა, ანკარას მთავრობის ხელშეკრულებებში პოილტიკური მიზეზებით უკიდურესად დამთმობი გახლდათ რელიგიური თავისუფლებისა და უმცირესობის უფლებების საკითხში. თუკი თურქეთს გადაუწყვეტია საბოლოოდ შევიდეს ევროპაში, საჭიროა, რომ ამ ერთობ დელიკატურ საკითხში, როგორცაა განსხვავებული რელიგიური რწმენასა და კულტურებს შორის დიალოგი და პატივისცემა, საერთაშორისო საკრებულოს მისცეს სრული გარანტია და ნდობა, ვინაიდან როგორც წარსულის და უახლესი ისტორია აჩვენებს, სწორედ ტოლერანტობა, რელიგიური თავისუფლება და უმცირესობის პატივისცემა გახლავთ ის ფასეულობები, რაზეც იგება სახელმწიფოს ჭეშმარიტი დემოკრატია, მით უფრო როდესაც თურქეთი საჯაროდ აცხადებს რომ სურს გახდეს ხიდი ისლამურ (რომელმაც უკანასკნელ წლებში ძლიერი სულიერი აღორძინება განიცადა) და დასავლეთს შორის, რომლის ფესვები, როგორც ზოგიერთი ერისკაცი აცხადებს, ღრმად ქრისტიანულია.

რაც შეეხება კათოლიკე ეკლესიას, იგი თურქეთის მთავრობისგან ითხოვს არა პრივილეგიას, არამედ თავისი უფლებების აღიარებას, რათა საკუთარი მსახურება გასწიოს თურქი კათოლიკეების სასარგებლოდ. ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ იოანე პავლე II-ის სიტყვები, რითაც მან მიმართა 2001 წ. 7 დეკემბერს თურქეთის ახალ ელჩს: “თურქეთში, კათოლიკები უმცირესობას წარმოადგენენ. ისინი ვერ ხედავენ დაპირისპირებას კათოლიკესა და თურქს შორის, და ელიან [...] ეკლესიის იურიდიულ აღიარებას. იმედოვნებენ, რომ თავიანთ ქვეყანაში უმცირესობის მიმართ იმ დაფასებას იპოვიან, რაც აგებს სოციალური ჰარმონიის ქვაკუთხედს და სახელმწიფოსა და მისი სტრუქტურების

მხრიდან მიღწეული ცივილური სიმწიფის მეტყველი ნიშანია. თურქეთს შეუძლია გახდეს ხიდი, თვალნათლად აჩვენოს რომ მისი კანონიერი გულისტკივილი ეროვნულ ერთიანობაზე კონფლიქტში არ შედის უმცირესობასთან და ინდივიდების უფლებებთან”. ნათელი სიტყვები, რომლებიც ჯერ კიდევ ინარჩუნებენ მთელ თავის აქტუალურობას და თავის ღირსებას.

ჯოვანი სალე
La Civita Catolika 2006 w., 18 marti # 157